



საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

საქართველოს სახალხო დამცველის
სპეციალური ანგარიში

წყალზე უფლების რეალიზაცია საქართველოში



The TPP is a partnership of:



The TPP is supported by:



Rule of Law and
Human Rights
Global Programme

ანგარიში შექმნილია სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაეროს, GANHRI-ს და ნორვეგიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს აღნიშნული ორგანიზაციების თვალსაზრისს.




საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

საქართველოს სახალხო დამცველის
სპეციალური ანგარიში

წყალზე უფლების რეალიზაცია საქართველოში

2025 წელი



The TPP is a partnership of:



The TPP is supported by:



Rule of Law and
Human Rights
Global Programme

სარჩევნი





შესავალი

წყალი შეზღუდული ბუნებრივი რესურსი და საზოგადოებრივი სიკეთეა, რომელიც ცხოვრების ფუნდამენტს ქმნის. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიუთითებს, რომ წყალს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტისთვის, პირველ რიგში კი - ჯანმრთელობისთვის. გარდა ამისა, წყალი აუცილებელია სიღარიბის შესამცირებლად, სურსათის უსაფრთხოებისთვის, მშვიდობისა და ადამიანის უფლებების დასაცავად, ეკოსისტემებისა და განათლებისთვის.¹

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) მიუთითებს, რომ დაბინძურებული წყალი და ცუდი სანიტარიული პირობები პირდაპირ უკავშირდება ისეთი დაავადებების გავცემას, როგორიცაა, ქოლერა, დიარეა, დიზენტერია და A ჰეპატიტი. წყალი გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების **სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზეც**. მისი გაუმჯობესებული და ხელმისაწვდომი სერვისის მეშვეობით, ადამიანი ნაკლებ დროსა და ფიზიკურ ძალისხმევას ხარჯავს წყლის შესაგროვებლად, რაც ნიშნავს, რომ იგი მეტად პროდუქტიულია ცხოვრების სხვა ასპექტებში; ამასთანავე, ნაკლებია ჯანმრთელობაზე გაწეული სამედიცინო ხარჯები და გაუმჯობესებულია ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება მათ აკადემიურ მოსწრებას და გრძელვადიან პერსპექტივაში დადებით გავლენას ახდენს მათ სიცოცხლეზე.²

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) თანახმად,³ 2022 წელს 2.2 მილიარდი ადამიანი დარჩა უსაფრთხო წყლის სერვისზე წვდომის გარეშე. ამასთან, მკვეთრი გეოგრაფიული, სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური უთანასწორობა შენარჩუნებულია როგორც სოფლად და ქალაქად მცხოვრებთა შორის, ასევე თავად ქალაქებშიც.⁴ ამავე ორგანიზაციის 2023 პროგნოზით, გაუმჯობესებულ წვდომას წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ყოველწლიურად 1.4 მილიონი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია.⁵

1 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მიზანი 6, წყალსა და სანიტარიაზე წვდომა ყველასთვის, <<https://www.un.org/sustainabledevelopment/water-and-sanitation/>>.

2 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), 2023, <<https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/drinking-water>>.

3 იქვე.

4 იქვე: იგულისხმება დასახლებები, სადაც დაბალშემოსავლიან, არაფორმალურ ან არარეგულარულ დასახლებებში მცხოვრებ ადამიანებს, ჩვეულებრივ, ნაკლები წვდომა აქვთ სასმელი წყლის გაუმჯობესებულ წყაროებზე, სხვებთან შედარებით.

5 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), 2023, იხ. ბმული: <<https://www.who.int/news/item/28-06-2023-improving-access-to-water--sanitation-and-hygiene-can-save-1.4-million-lives-per-year--says-new-who-report>>.

წყალზე ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო აქტუალური საკითხი გახდა **კლიმატის ცვლილების გლობალური კრიზისის** ფონზე. ექსპერტები თანხმდებიან, რომ ეს კრიზისი განუყოფლად უკავშირდება წყალს, ვინაიდან კლიმატის ცვლილება ზრდის წყლის ციკლის ცვალებადობას და ამგვარად, იწვევს ექსტრემალურ ამინდს, ამცირებს წყლის ხელმისაწვდომობის პროგნოზირების შესაძლებლობას, აქვეითებს მის ხარისხს, ასევე, საფრთხეს უქმნის მდგრად განვითარებას, ბიომრავალფეროვნებასა და ადამიანის მიერ უსაფრთხო წყლის უფლებით სარგებლობას მთელ მსოფლიოში.⁶ კლიმატის ცვლილების შერბილების სტრატეგია პირდაპირ უკავშირდება მდგრადი წყლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

უსაფრთხო და ხელმისაწვდომი წყლის გლობალურ გამოწვევას ეხმიანება **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნები** (კერძოდ, მიზანი 6 - წყალსა და სანიტარიაზე წვდომა ყველასთვის).⁷ 2023 წლის შეფასებით, მიუხედავად პროგრესისა, მილიარდობით ადამიანს ჯერ კიდევ არ აქვს წვდომა უსაფრთხო სასმელ წყალზე, 2030 წლისთვის უნივერსალური დაფარვის მიღწევა კი მოითხოვს მიმდინარე პროგრესის არსებით გაუმჯობესებას, კერძოდ, 6-ჯერ გაზრდას სასმელ წყალთან მიმართებით.⁸

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული **„ხედვა 2030, საქართველოს განვითარების სტრატეგია“** ქვეყნის რეგიონებში წყალმომარაგების საკითხს ერთ-ერთი მნიშვნელოვან გამოწვევად განიხილავს მწყობრიდან გამოსული და, ზოგ შემთხვევაში, არარსებული ინფრასტრუქტურის გამო.⁹ ამავე დოკუმენტში მითითებულია, რომ ქვეყანაში ლიცენზირებული პროვადერების რაოდენობის გათვალისწინებით, საქართველოს მოსახლეობის 66%-ს მიეწოდება წყალმომარაგება, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, შეფერხებებით ხასიათდება. ყველა რეგიონში არ არსებობს გამართული ინფრასტრუქტურული ქსელი და წყლის ხარისხის შემოწმების მექანიზმი.¹⁰ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მონაცემებით, 2023 წელს მოსახლეობის მხოლოდ 69%-ის წყალმომარაგებას უზრუნველყოფდნენ ლიცენზიატი კომპანიები.¹¹

6 UN-Water, Climate Change and Water UN-Water Policy Brief, 2019, გვ. 4, იხ. ბმული: <https://www.unwater.org/sites/default/files/app/uploads/2019/10/UN_Water_PolicyBrief_ClimateChange_Water.pdf>.

7 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მდგრადი განვითარების მიზნები, მიზანი 6, იხ. ბმული: <<https://www.un.org/sustainabledevelopment/water-and-sanitation/>>.

8 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მდგრადი განვითარების მიზნების ანგარიში, 2023, გვ. 26, იხ. ბმული: <<https://unstats.un.org/sdgs/report/2023/The-Sustainable-Development-Goals-Report-2023.pdf>>.

9 საქართველოს მთავრობის 2022 წლის 3 ნოემბრის #517 დადგენილება, დანართი 2: „ხედვა 2030, საქართველოს განვითარების სტრატეგია“, გვ. 47, იხ. ბმული: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5604706?publication=0>>.

10 იქვე.

11 საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 35, იხ. ბმული: <<https://gnerc.org/files/Annual%20Reports/Annual%20Report%20short%202023%20GEO.pdf>>.

აღნიშნულ **სტრატეგიაში** გაცხადებული პოლიტიკის თანახმად, **2025 წელს** საქართველოს ქალაქების მოსახლეობის 100%-ს ექნება უწყვეტი წვდომა სტანდარტების შესაბამის წყალმომარაგებაზე, ხოლო **2030 წლისთვის** - მთელი ქვეყნის მოსახლეობის 100%-ს.¹²

წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის განვითარების ხედვისა და პოლიტიკის განაცხადის თანახმად,¹³ წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის გამართულობა გაუმჯობესებას საჭიროებს. განსაკუთრებით ყურადსაღებია სოფლებში არსებული ვითარება, სადაც სერვისის დონე (level of service) უფრო მეტად არის გასაუმჯობესებელი, ვიდრე ქალაქად.¹⁴

გაეროს ბავშვთა ფონდისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (**WHO/UNICEF**) ერთობლივი მონიტორინგის პროგრამის (JMP) 2022 წლის მონაცემები წყალმომარაგების, სანიტარიისა და ჰიგიენის პროგრესის შესახებ¹⁵ მიუთითებს, რომ საქართველოში უსაფრთხო წყალმომარაგების სისტემით სარგებლობის სოფლად მცხოვრებ პირთა 41%, ქალაქში მცხოვრებთა 88% და, საერთო ჯამში, მოსახლეობის 69%. საგულისხმოა, რომ 2015-დან 2022 წლამდე საერთო მოსახლეობისთვის მაჩვენებელი მხოლოდ 2%-ით გაუმჯობესდა, სოფლად მცხოვრებთათვის - 1%-ით, ხოლო ქალაქად მცხოვრებთათვის უცვლელი დარჩა.¹⁶

12 „ხედვა 2030, საქართველოს განვითარების სტრატეგია“, გვ. 151-152.

13 წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის განვითარების ხედვისა და პოლიტიკის განაცხადი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. მომზადებულია MRDI/UWSCG/მრჩეველთა გუნდის მიერ, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“, 2021. საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებგვერდზე და პირველი კონსოლიდირებული დოკუმენტია საქართველოში წყალმომარაგების და წყალარინების სექტორის მდგრადი განვითარებისთვის საჭირო ხედვაზე, იხ. ბმული: <<https://shorturl.at/2pnVn>>.

14 იქვე, გვ. 3-4.

15 Progress on household drinking water, sanitation, and hygiene (2000-2022), 2023, WHO/UNICEF, JMP, გვ. 111. ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე: <<https://data.unicef.org/resources/jmp-report-2023/>>.

16 იქვე.

გლობალურ და ეროვნულ დონეზე საკითხის აქტუალობისა და სიმწვავის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, როგორც ადამიანის უფლებებზე ზედამხედველი კონსტიტუციური ინსტიტუტი, 2024 წელს პრიორიტეტულად მუშაობდა წყლის უფლებაზე, გაეროს, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსისა (GANHRI) და ნორვეგიის მხარდაჭერით. აპარატმა, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომებისა და საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, შეიმუშავა სპეციალური მეთოდოლოგია, რის საფუძველზეც ჩატარდა მონიტორინგი და მომზადდა წინამდებარე სპეციალური ანგარიში. დოკუმენტში გაანალიზებულია წყალზე უფლების საერთაშორისო სტანდარტები, სახელმწიფოს ვალდებულებები, უფლების შინაარსობრივი ასპექტები და პრინციპები, ეროვნული რეგულაციები, აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში არსებული გამოწვევები. აპარატმა გამოითხოვა და დაამუშავა სხვადასხვა ოფიციალური ინფორმაცია, რომლებიც უკავშირდებოდა წყალზე უფლების რეალიზაციას. სპეციალური ანგარიში შესაბამის უწყებებს სთავაზობს წინადადებებსა და რეკომენდაციებს, რომელთა შესრულებაც ხელს შეუწყობს ამ უფლების განხორციელებას.

2

ადამიანის უფლება წყალზე - საერთაშორისო ხელვა და გარანტიები

წყლის უფლების შინაარსისა და ფარგლების გასაზრებლად, მნიშვნელოვანია ამ უფლების ისტორიული განვითარების მოკლე ანალიზი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948)**, ისევე, როგორც **საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (1966)**, არ ითვალისწინებდა ადამიანის უფლებას წყალზე, თუმცა ორივე საერთაშორისო აქტი აღიარებდა და აღიარებს ყველა ადამიანის უფლებას **ცხოვრების სათანადო დონეზე**.¹⁷ გაეროს სპეციალური მომხსენებელი წყლისა და სანიტარიის უფლების შესახებ (შემდგომში - სპეციალური მომხსენებელი) აღნიშნულს მხოლოდ იმ ახსნას უძებნის, რომ ამ დოკუმენტთა შემუშავებისას წყალი ისედაც თავისუფლად ხელმისაწვდომი იყო ყველასთვის.¹⁸

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში ადამიანის უფლებათა დაცვის **რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულებაში** უკვე პირდაპირ ჩნდება მითითება წყალზე, როგორც ადამიანის უფლებათა რეალიზაციისთვის მნიშვნელოვან საკითხზე.¹⁹

2002 წელს **გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტმა (CESCR)** (შემდგომში - კომიტეტი) შეიმუშავა **#15 ზოგადი კომენტარი**, რომელიც ასახავს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პაქტის ნორმათა განმარტებებს. კომენტარი განსაზღვრავს სახელმძღვანელო პრინციპებს წყლის უფლების შინაარსთან მიმართებით და განმარტავს, რომ ეს უფლება იმპლიციტურად აისახა პაქტის ორ მუხლში, რომლებიც შეეხება ცხოვრების სათანადო დონისა (მე-11 მუხლი) და ჯანმრთელობის (მე-12 მუხლი) უფლებებს. კომენტარი აცალიბებს სახელმწიფოს ვალდებულებებს წყალზე უფლებასთან მიმართებით და განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებები მიიჩნევა დარღვევად.

მომდევნო წლებში, სხვადასხვა საერთაშორისო რეზოლუციასა და ანგარიშში, ასევე ვხვდებით მითითებას წყალზე ადამიანის უფლებასთან დაკავშირებით: 2006 წელს ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ქვეკომისიამ მიიღო სახელმძღვანელო

17 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, პუნქტი 25.1; საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, პუნქტი 11.1.

18 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Introduction**, 2014, გვ. 24.

19 მაგალითად, ბავშვის უფლებების კონვენცია, მუხლი 24.2.გ; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 28.2.ა; კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 14.2. h.

პრინციპები სასმელი წყლისა და სანიტარიის უფლების რეალიზაციის შესახებ.²⁰ 2007 წელს ეს გაგრძელდა ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის მიერ ადამიანის უფლებათა საბჭოსთვის წარდგენილი კვლევით, რომელიც შეეხებოდა ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებათა ფარგლებსა და შინაარსს უსაფრთხო სასმელ წყალსა და სანიტარიულ პირობებზე თანაბარ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.²¹ დოკუმენტში კომისარი განმარტავს, რომ დროა, უსაფრთხო სასმელ წყალსა და სანიტარიაზე წვდომა აღიარებული იყოს ადამიანის უფლებად, რომელიც გულისხმობს ყველასთვის **თანაბარ და თანასწორ წვდომას საკმარისი რაოდენობის უსაფრთხო სასმელ წყალზე, როგორც პირადი, ისე საყოფაცხოვრებო გამოყენებისთვის - სასმელად, სანიტარიისთვის, ტანსაცმლის გასარეცხად, საკვების მოსამზადებლად და პირადი და საშინაო (საყოფაცხოვრებო) ჰიგიენისთვის - სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით.**²²

აღნიშნულის კვალდაკვალ, 2010 წელს პირველად, **გაეროს გენერალურმა ასამბლეამ²³ რეზოლუციით აღიარა** ადამიანის უფლება უსაფრთხო წყალსა და სანიტარიაზე, როგორც არსებითი უფლება ცხოვრებით სრულფასოვანი სარგებლობისა და ადამიანის უფლებების რეალიზაციისთვის. შემდეგ, **გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ²⁴** ასევე რეზოლუციით დაადასტურა ეს აღიარება და განმარტა, რომ წყალზე უფლება გამომდინარეობს ცხოვრების ადეკვატური დონის უფლებიდან. რეზოლუციები სახელმწიფოებს მოუწოდებს სათანადო რესურსების მობილიზებისა და შესაბამის ინსტრუმენტების შემუშავებისკენ, რათა თანდათანობით უზრუნველყონ უსაფრთხო, სუფთა, ფიზიკურად და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი სასმელი წყლის უფლების რეალიზაცია **ყველასთვის.**

როგორც გაეროს გენერალური ასამბლეის ამ რეზოლუციიდან ირკვევა, გადაწყვეტილებას წინ უძღოდა საგანგაშო მდგომარეობა: კერძოდ, დაახლოებით, 884 მილიონ ადამიანს წვდომა არ ჰქონდა უსაფრთხო სასმელ წყალზე, 2.6 მილიარდზე მეტ ადამიანს კი - საბაზისო სანიტარიულ პირობებზე; 1.5 მილიონი ბავშვი (5 წელზე ქვემოთ) კვდებოდა და 443 მილიონი სასწავლო დღე იკარგებოდა ყოველწლიურად წყალსა და სანიტარიასთან დაკავშირებული დაავადებების გამო.²⁵ ამდენად, თანაბარი ხელმისაწვდომობა უსაფრთხო და

20 UN, Economic and Social Council, Realization of the right to drinking water and sanitation Report of the Special Rapporteur, El Hadji Guissé, **Draft guidelines**, E/CN.4/Sub.2/2005/25, 2005.

იხ. ბმული: <https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/Issues/Water/SUB_Com_Guisse_guidelines.pdf>.

21 UN High Commissioner for Human Rights, Report of the United Nations High Commissioner for Human Rights on the scope and content of the relevant human rights obligations related to equitable access to safe drinking water and sanitation under international human rights instruments, 2007, <<https://digitallibrary.un.org/record/606139/?v=pdf>>.

22 იქვე, პარ. 66.

23 UN, General Assembly, The human right to water and sanitation, Resolution, A/RES/64/292, 2010, იხ. ბმული: <<https://documents.un.org/doc/undoc/gen/n09/479/35/pdf/n0947935.pdf>>.

24 UN, General Assembly, Human rights and access to safe drinking water and sanitation, Resolution, A/HRC/RES/15/9, 2010, იხ. ბმული: <<https://documents.un.org/doc/undoc/gen/g10/166/33/pdf/g1016633.pdf>>.

25 UN, General Assembly, The human right to water and sanitation, Resolution, A/RES/64/292, 2010.

სუფთა სასმელ წყალსა და სანიტარიულ პირობებზე ადამიანის ყველა უფლების რეალიზაციის განუყოფელ ნაწილად ჩაითვალა.²⁶

2013-2014 წლებში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ და გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ დაადასტურეს წყლისა და სანიტარული უფლების აღიარება, კონსენსუსის საფუძველზე.²⁷

ისტორიული განვითარების შედეგად, წყალზე უფლების შინაარსობრივ საკითხთა განმარტებასა და ამ უფლებაზე ზედამხედველობაში განსაკუთრებული როლი ითამაშა **გაეროს სპეციალური მომხსენებლის საქმიანობამ**. თავდაპირველად, 2008 წელს, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ დამოუკიდებელი ექსპერტი დანიშნა ამ მიმართულებით, 2010 წლის აღიარების შემდეგ კი, 2011 წელს, განსაზღვრა **სპეციალური მომხსენებლის მანდატი წყალსა და სანიტარიაზე ადამიანის უფლებასთან დაკავშირებით**: იგი ატარებს თემატურ მოკვლევებს, გეგმავს სახელმწიფო ვიზიტებს, ამუშავებს კარგ პრაქტიკას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. 2020 წელს კი წყალზე უფლების აღიარების 10-წლიან იუბილეს მომხსენებელმა ფართომასშტაბიანი კამპანიაც მიუძღვნა.²⁸

როგორც ზემოთ აღინიშნა, წყალთან დაკავშირებული საერთაშორისო მიდგომების თანდათანობით ცვლილებასა და უფლებრივ აღიარებასთან ერთად, გაერომ 2015 წელს შემუშავებულ უნივერსალურ მიზნებს შორის დაასახელა წყლისა და სანიტარიის ყველასთვის უზრუნველყოფაც.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ 2021-2022 წლებში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ და ადამიანის უფლებათა საბჭომ **უსაფრთხო, სუფთა, ჯანსაღ და მდგრად გარემოზე წვდომა ადამიანის უფლებად** აღიარეს.²⁹ რეზოლუციის თანახმად, საბჭო აღიარებს, რომ მდგრადი განვითარების სამი განზომილება და გარემოს დაცვა, სხვა საკითხებთან ერთად, ხელს უწყობს ადამიანის კეთილდღეობას და ადამიანის უფლებებით სარგებლობას დღევანდელი და მომავალი თაობების მიერ. მათ შორის დასახელებულია უსაფრთხო სასმელ წყალსა და სანიტარიაზე წვდომის უფლება.³⁰

26 იქვე.

27 UN, General Assembly, The human right to safe drinking water and sanitation, Resolution, A/RES/68/157, 2014, იხ. ბმული: <https://documents.un.org/doc/undoc/gen/n13/448/87/pdf/n1344887.pdf?>;

UN, General Assembly, The human right to safe drinking water and sanitation, Resolution, A/HRC/RES/24/18, 2013, იხ. ბმული: <https://documents.un.org/doc/undoc/gen/g13/179/24/pdf/g1317924.pdf?>.

28 Celebration of the 10th anniversary of the UNGA Resolution, Special Rapporteur on the human rights to safe drinking water and sanitation, იხ. ბმული: <<https://www.ohchr.org/en/special-procedures/sr-water-and-sanitation/celebration-10th-anniversary-unga-resolution>>.

29 UN, Human Rights Council, The human right to a clean, healthy and sustainable environment, Resolution, A/HRC/RES/48/13, 2021, იხ. ბმული: <https://documents.un.org/doc/undoc/gen/g21/289/50/pdf/g2128950.pdf?>;

UN, the General Assembly, The human right to a clean, healthy and sustainable environment, Resolution, A/RES/76/300, 2022, იხ. ბმული: <https://documents.un.org/doc/undoc/gen/n22/442/77/pdf/n2244277.pdf?>.

30 იქვე, გვ. 1.

3

სახელმწიფოს ვალდებულებები

კომიტეტი ხსენებულ N15 ზოგად კომენტარში წყლის უფლებასთან დაკავშირებით გამოყოფს სახელმწიფოს რამდენიმე სახის ვალდებულებას:³¹

პირველი, **ზოგადი ვალდებულება**, სახელმწიფოსგან მოითხოვს წყალზე უფლების **პროგრესულ**, რაც შეიძლება სწრაფ, ეფექტიან და სრულ რეალიზაციას, **მაქსიმალურად ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით**. პროგრესული რეალიზაცია არ გულისხმობს სახელმწიფოს უმოქმედობას, პირიქით, ეს ცნება აღიარებს, რომ სრული რეალიზაცია მიიღწევა თანდათანობით. პროგრესული რეალიზაციის ვალდებულება მოითხოვს არა მხოლოდ წყლის სისტემაზე წვდომის მქონე ადამიანთა რაოდენობის გაზრდას, არამედ მომსახურების ზოგადი დონის გაუმჯობესებასაც ახლანდელი და მომავალი თაობებისთვის.³²

მაშინაც კი, თუ რესურსები ძალიან შეზღუდულია (როგორც ფინანსური ან ეკონომიკური კრიზისის დროს), სახელმწიფო პრიორიტეტულად უნდა ცდილობდეს, ყველას ჰქონდეს წვდომა, **სულ მცირე, უფლებათა მინიმალურ დონეზე**. სახელმწიფოებმა ასევე უნდა მიიღონ ზომები ღარიბი, მარგინალიზებული და გაჭირვებული პირების/ჯგუფების დასაცავად მიზნობრივი პროგრამების გამოყენებით, სხვა მექანიზმებთან ერთად.³³

მაქსიმალურად ხელმისაწვდომი რესურსების არსებობისა და გამოყენების ვალდებულება ასევე მოიცავს სახელმწიფოს მოვალეობას, მოიზიდოს ადეკვატური შემოსავლები საგადასახადო და სხვა მექანიზმების მეშვეობით და მოიძიოს საერთაშორისო დახმარება, თუ ეს საჭიროა.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პროგრესული რეალიზაცია შეიძლება ეტაპობრივი და უწყვეტი სამომავლო პროცესი იყოს, არსებობს გადაუდებელი **ვალდებულებებიც**, როგორიცაა **დისკრიმინაციის დაუშვებლობა და თანასწორობის უზრუნველყოფა**, რომლებიც არ ექვემდებარება მომავალში ეტაპობრივ განხორციელებას.³⁴

31 გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #15, 2002E/C.12/2002/11, თავი 3.

32 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Introduction**, 2014, 26.

33 გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #15, 2002E/C.12/2002/11, პარაგრაფები: 17, 19, 37(f), 41.

34 OHCHR, UN-HABITAT, The World Health Organization (WHO), The Right to Water, Fact Sheet No. 35, 2010, გვ. 25.

წყალზე უფლებასთან მიმართებით, სახელმწიფოს აქვს **სპეციალური ვალდებულებებიც**, რომლებიც მოიცავს **პატივისცემას (Respect)**, **დაცვას (Protect)** და **შესრულებას (Fulfill)**.³⁵

პატივისცემის³⁶ ვალდებულება მოიპოვებს რიგი ნაბიჯების გადადგმას სახელმწიფოს მხრიდან. ამ ვალდებულების დარღვევა, მაგალითად, წყლის რესურსის მქონე მიწების გაყიდვა, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს, ადეკვატური ალტერნატივის გარეშე;³⁷ წყლის რესურსების დაბინძურება; წყალმომარაგების თვითნებური და უკანანო გათიშვა; ღარიბი უბნებისთვის უსაფრთხო სასმელი წყლის მიწოდების შემცირება, უფრო მდიდარი უბნების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად; წყლის სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განადგურება შეიარაღებული კონფლიქტის დროს, სადამსჯელო ღონისძიების სახით.³⁸

დაცვის³⁹ ვალდებულება სახელმწიფოსგან მოითხოვს: აიცილოს/ალკვეთოს **მესამე პირთა** ნებისმიერი გზით ჩარევა წყალზე უფლების რეალიზაციაში; მიიღოს კანონმდებლობა/ზომები, რათა კერძო სექტორი (მაგ: მრეწველობა, წყლის სერვისის მიმწოდებელი, კერძო პირები) დაემორჩილოს წყლის უფლებასთან დაკავშირებულ სტანდარტებს; წყლის მიწოდება არ შეწყდეს უკანონოდ და თვითნებურად; თემი დაცული იყოს მესამე პირთა მხრიდან წყლის იმ რესურსების არამდგრადი მოპოვებისაგან, რომლებსაც იგი სასმელად იყენებს; ქალებისა და ბავშვების ფიზიკურ უსაფრთხოებას არ ემუქრებოდეს საშიშროება, როდესაც წყლის შესაგროვებლად მიდიან საცხოვრებელს მიღმა; საკუთრებასთან დაკავშირებული კანონები და პრაქტიკა ხელს არ უშლიდეს ინდივიდებსა და თემებს უსაფრთხო წყალზე წვდომაში; მესამე მხარე, რომელიც აკონტროლებს ან ახორციელებს წყალმომარაგებას, არ აფერხებდეს თანაბარ ეკონომიკურ და ფიზიკურ ხელმისაწვდომობას საკმარის წყალზე.⁴⁰

შესრულების⁴¹ ვალდებულება სახელმწიფოსგან მოითხოვს ისეთი პირობების შექმნას, რომ ყველამ ისარგებლოს წყლის უფლებით. ეს არ ნიშნავს, რომ თავად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მომსახურება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადამიანებს/ჯგუფებს

35 გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #15, 2002E/C.12/2002/11, მე-20 პარაგრაფიდან.

36 გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #15, 2002E/C.12/2002/11, პარაგრაფი 20ა.

37 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Introduction**, 2014, გვ. 26.

38 **OHCHR, UN-HABITAT, The World Health Organization (WHO)**, The Right to Water, Fact Sheet No. 35, 2010, გვ. 27.

39 გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #15, 2002E/C.12/2002/11, პარაგრაფი 20b.

40 **OHCHR, UN-HABITAT, The World Health Organization (WHO)**, The Right to Water, Fact Sheet No. 35, 2010, გვ. 27.

41 გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #15, 2002E/C.12/2002/11, პარაგრაფი 20c.

არ აქვთ წყლის უფლებაზე წვდომა სხვა მექანიზმებით.⁴² სახელმწიფომ უნდა გაატაროს შესაბამისი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, საბიუჯეტო, სასამართლო, ხელშეწყობი და სხვა ღონისძიებები წყალზე უფლების სრულად რეალიზაციისათვის. ასევე, მიიღოს პოლიტიკა წყლის შესახებ, რომელიც: პრიორიტეტს მიანიჭებს პირად და საშინაო გამოყენებას წყლის მართვის დროს; განსაზღვრავს წყლის მომსახურების გაფართოების მიზნებს, არახელსაყრელ და მარგინალიზებულ ჯგუფებზე ფოკუსით; გამოკვეთს ხელმისაწვდომ რესურსებს ამ მიზნების მისაღწევად; განსაზღვრავს მათი გამოყენების ყველაზე ეკონომიურ გზებს; ასახავს პასუხისმგებლობებსა და ვადებს საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად; მონიტორინგს გაუწევს შედეგებს, მათ შორის, დარღვევის ადეკვატური გამოსწორების საშუალებებს.⁴³

სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ სათანადო განათლება წყლის სისტემის სწორად გამოყენებასა და წყლის წყაროთა დაცვის მეთოდებზე.⁴⁴

კომიტეტის განმარტებებში ცალკე თავი ეძღვნება **საერთაშორისო ვალდებულებებსაც**. წყალი არ უნდა გამოიყენებოდეს ინსტრუმენტად ან ეკონომიკური ზეწოლის საშუალებად. ამავე თავში მიმოხილულია ქვეყნების ურთიერთდახმარებასთან დაკავშირებული ვალდებულებებიც.⁴⁵

42 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, Introduction, 2014, გვ. 27.

43 OHCHR, UN-HABITAT, The World Health Organization (WHO), The Right to Water, Fact Sheet No. 35, 2010, გვ. 28.

44 იქვე.

45 ვრცლად, გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #15, 2002E/C.12/2002/11, 30-ე პარაგრაფიდან.

4

წყლის უფლების შინაარსი და კრიტერიუმები

წყალი ფართო სპექტრის მიზნებით გამოიყენება. მაგალითად, ის აუცილებელია სათანადო კვების, ჯანმრთელობის, შრომით შემოსავლის მიღებისა და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებათა რეალიზაციისთვის. მიუხედავად ამისა, წყლის განაწილებისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს წყლის უფლებას **პირადი და საშინაო მოხმარებისთვის**, ასევე, შიმშილისა და დაავადებების პრევენციისთვის.⁴⁶

ადამიანის უფლება წყალზე გულისხმობს ყველასთვის **საკმარის, უსაფრთხო, მისაღებ და ფიზიკურად და ეკონომიკურად ხელმისაწვდომ წყალს პირადი და საშინაო (საყოფაცხოვრებო) გამოყენებისთვის**. გაეროს კომიტეტის განმარტებით, **პირადი და საშინაო მოხმარება გულისხმობს წყლის გამოყენებას სასმელად, პირადი სანიტარიისთვის, ტანსაცმლის გასარეცხად, საკვების მოსამზადებლად, პირადი და საყოფაცხოვრებო ჰიგიენისთვის**.⁴⁷

კომიტეტი განმარტავს ცალკეულ კომპონენტთა ნორმატიულ შინაარსსაც. ეს საკითხები ვრცლად არის მიმოხილული გაეროს სპეციალური მომხსენებლის სხვადასხვა თემატურ ანგარიშშიც. ამდენად, ქვემოთ მიმოხილული სტანდარტები ეფუძნება სწორედ იმ საერთაშორისო დოკუმენტებით დამკვიდრებულ განმარტებებსა და მიდგომებს, რომლებიც წყალზე უფლებას მიეძღვნა.

4.1 მისაწვდომობა

წყლის **მისაწვდომობა მოითხოვს, რომ წყალი შეესაბამებოდეს ხალხის საჭიროებებს, ახლაც და მომავალშიც**.⁴⁸

წყლის უფლება ადამიანს არ აძლევს წვდომას შეუზღუდავი რაოდენობის წყალზე. მისაწვდომობა მოიცავს ორ მთავარ განზომილებას: საკმარის და უწყვეტ წყალს **პირადი და საშინაო მოხმარებისთვის**.

46 იქვე, პარაგრაფი 6.

47 იქვე, პარაგრაფი 12a.

48 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Introduction**, 2014, გვ. 34.

გაეროს ზოგადი კომენტარის თანახმად, წყლის ოდენობა თითოეული ადამიანისთვის უნდა შეესაბამებოდეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმძღვანელო მითითებებს.⁴⁹ თავის მხრივ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია საკმარისი წყლის ცნებას უკავშირებს ძირითად საჭიროებათა დაკმაყოფილებას.⁵⁰ ამისათვის ერთ ადამიანს, დღიურად, სჭირდება 50-დან 100 ლიტრამდე წყალი; 20-25 ლიტრზე წვდომა ერთ ადამიანისთვის დღიური მინიმუმია, თუმცა ეს რაოდენობა იწვევს ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებულ შემოფოტებას, რადგან ის არ კმარა ჰიგიენისთვის, ასევე, მოხმარების ძირითად მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.⁵¹

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი პირი/ჯგუფი შესაძლოა მეტი ოდენობის წყალს საჭიროებდეს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, სამუშაოს, კლიმატური პირობების ან სხვა ფაქტორების გამო.⁵² მაგალითად, მეძუძურ დედებს, ორსულ ქალებს ან აივ/შიდსით დაავადებულებს დღეში 50-100 ლიტრზე მეტი წყალი სჭირდებათ.⁵³

ამდენად, რაოდენობისა და საკმარისობის შესაფასებლად, აუცილებელია ადგილობრივი კონტექსტისა და კონკრეტული გარემოებების შეფასება.

რაც შეეხება უწყვეტობას, ეს კრიტერიუმი გულისხმობს, რომ წყალმომარაგება უნდა იყოს საკმარისად რეგულარული.⁵⁴ ამდენად, უწყვეტობა უნდა შეფასდეს საკმარისობის კომპონენტთან ერთად, ვინაიდან ისინი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ელემენტებია.

წყალზე უფლება არ კრძალავს წყლის მომსახურების შეწყვეტას, რასაც შეიძლება სხვადასხვა მიზეზი ჰქონდეს (მაგ: წყლის რესურსების დაბინძურება, ან გადაუდებელი შემთხვევები), თუმცა აღნიშნული დასაშვებია შესაბამისი შეზღუდვებითა და პირობებით. საერთო ჯამში, გათიშვა უნდა ეყრდნობოდეს კანონით დადგენილი წესს, შესაბამისი პირები კი უნდა სარგებლობდნენ პროცედურული გარანტიებით.⁵⁵ უსაფრთხო სასმელი წყლის რაოდენობა შეიძლება შემცირდეს, მაგრამ სრული გათიშვა შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს წვდომა ალტერნატიულ წყაროზე, რომელიც

49 გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #15, 2002E/C.12/2002/11, პარაგრაფი 12a.

50 იქვე, სქოლიო 14.

51 **OHCHR, UN-HABITAT, The World Health Organization (WHO)**, The Right to Water, Fact Sheet No. 35, 2010, გვ. 8, იხ. ბმული: <<https://www.ohchr.org/en/publications/fact-sheets/fact-sheet-no-35-right-water>>, აქვე მითითება: G. Howard and J. Bartram, "Domestic water quantity, service level and health" (World Health Organization, 2003), პარაგრაფი 22.

52 გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #15, 2002E/C.12/2002/11, პარაგრაფი 12a.

53 **OHCHR, UN-HABITAT, The World Health Organization (WHO)**, The Right to Water, Fact Sheet No. 35, 2010, გვ. 8.

54 იქვე, პარაგრაფი 12a.

55 იქვე, გვ. 34.

უზრუნველყოფს უსაფრთხო სასმელი წყლის მინიმალურ რაოდენობას დაავადების თავიდან ასაცილებლად.⁵⁶

როდესაც წყალი დეფიციტურია, ან მიმწოდებელი ახორციელებს ტექნიკურ თუ სარემონტო სამუშაოებს, დროებითი (მაგრამ არა მუდმივი) გათიშვა შეიძლება გამართლებული იყოს. თუმცა, ასეთ დროს სახელმწიფომ უნდა დააწესოს იმგვარი რეგულირება, სტანდარტი და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ალტერნატიულ მომარაგებას აუცილებელი რაოდენობის წყლით, ხოლო შესაბამისი პირები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ნებისმიერი ასეთი შეწყვეტის დროსა და ხანგრძლივობაზე.⁵⁷

4.2 ფიზიკური ხელმისაწვდომობა

ფიზიკური ხელმისაწვდომობის კრიტერიუმი, თავის მხრივ, რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს მოიცავს, იქნება ეს ადგილმდებარეობა, ფიზიკური უსაფრთხოება, თუ დროის ფაქტორი.

კერძოდ, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა (მაგ: ონკანი) ისე უნდა განთავსდეს, რომ ნამდვილად უზრუნველყოს ხელმისაწვდომობა, მათ შორის, იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა ბარიერი. **სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაც. ამდენად, აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებები**, კერძოდ, ბავშვების, ხანდაზმულების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანების ინტერესები.⁵⁸ მდებარეობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყოველთვის და ყველასთვის.⁵⁹

წყლის რეგულარული მიწოდება საცხოვრებელ სახლში გამორიცხავს ქალებისა და ბავშვების მიერ ფიზიკური ძალისხმევის გაწევას და დროის ხარჯვას წყლის შორეული წყაროებიდან შეგროვებაზე.⁶⁰ მიუხედავად იმისა, რომ სახლებში წყალზე წვდომა ყოველთვის სასურველია, პროგრესული რეალიზაციის პროცესში შუალედური გადაწყვეტილებები, როგორიცაა საერთო საზოგადოებრივი წყლის პუნქტები, შეიძლება შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ვალდებულებებს მოკლევადიან პერსპექტივაში.⁶¹ თუმცა, ამ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს მოთხოვნა გონივრული დაშორების თაობაზე: საერთო მომარაგების ონკანი გონივრულ მანძილზე უნდა იყოს საცხოვრებელი სახლიდან.

56 იქვე.

57 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Planning processes, service providers, service levels and settlements**, 2014, გვ. 40.

58 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Introduction**, 2014, გვ. 35.

59 იქვე.

60 OHCHR, UN-HABITAT, The World Health Organization (WHO), The Right to Water, Fact Sheet No. 35, 2010, გვ. 10.

61 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Introduction**, 2014, გვ. 35.

„გონივრულ მანძილად“ მიიჩნევა ისეთი დაშორება, რომელიც ყველას აძლევს საკმარისი წყლის შეგროვების საშუალებას პირადი და საშინაო გამოყენებისთვის.

ზოგადი კომენტარი არ მიუთითებს კონკრეტულ მანძილსა და შეგროვების დროზე ფიზიკური ხელმისაწვდომობის განმარტებისას. კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ წყალი ხელმისაწვდომი უნდა იყოს თითოეული სახლის, საგანმანათლებლო დაწესებულებისა და სამუშაო ადგილის შიგნით, ან უშუალო სიახლოვეს.⁶² თუმცა, **ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO)** თანახმად, ყოველდღიურად საბაზისო ოდენობის წყალზე წვდომისთვის, წყარო უნდა იყოს სახლიდან არაუმეტეს 1 000 მეტრში და შეგროვების დრო არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს, ორივე გზისა და რიგის ჩათვლით.⁶³

4.3 ეკონომიკური ხელმისაწვდომობა

ეკონომიკური ხელმისაწვდომობა კიდევ ერთი აუცილებელი კრიტერიუმია, რომელსაც გაეროს კომიტეტი ასახელებს. იგი განმარტავს, რომ წყლის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პირდაპირი თუ არაპირდაპირი ხარჯები და გადასახადები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის და ხარჯები საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ან ემუქრებოდეს სხვა ძირითად უფლებათა რეალიზაციას.⁶⁴

კერძოდ, წყლის ხარჯების გამო, მოქალაქეებს არ უნდა უწევდეთ უარის თქმა სხვა ძირითად საჭიროებებსა და სერვისებზე, მათ შორის, საკვებზე, საცხოვრისზე, ჯანმრთელობასა და განათლებაზე.⁶⁵ მართალია, უფლებრივი სტანდარტები არ მოითხოვს წყლის უფასო სერვისის უზრუნველყოფას, თუმცა არავის უნდა წაერთვას წყალზე ხელმისაწვდომობა გადახდისუნარიობის გამო. ამდენად, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გარკვეული გარემოებებისთვის შექმნას უფასო სერვისის ან ადეკვატური სუბსიდიის მექანიზმები, რათა ყველას ყოველთვის ჰქონდეს წვდომა აუცილებელ მინიმუმზე და ხარჯები არ აღმოჩნდეს ბარიერი.⁶⁶ მაგალითად, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ შემოთავაზებული ზღვარია ოჯახის შემოსავლის 3%.⁶⁷

62 გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #15, 2002E/C.12/2002/11, პარაგრაფი 12c.i.

63 საყოფაცხოვრებო წყლის ოდენობა, მომსახურების დონე და ჯანმრთელობა, მეორე გამოცემა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2020, გვ. 52, <<https://iris.who.int/bitstream/handle/10665/338044/9789240015241-eng.pdf>>; ასევე, Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by the UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Legislative, regulatory and policy frameworks**, 2014, გვ. 40.

64 გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #15, 2002E/C.12/2002/11, პარაგრაფი 12c (ii).

65 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Introduction**, 2014, გვ. 36.

66 იქვე.

67 OHCHR, UN-HABITAT, The World Health Organization (WHO), The Right to Water, Fact Sheet No. 35, 2010, გვ. 11, ასევე იხ. <<https://www.un.org/en/global-issues/water>>.

ეკონომიკური ხელმისაწვდომობა განიხილება ორი სახის ხარჯის გათვალისწინებით: პირველი - კომუნიკაციების/მშენებლობის ღირებულება, რომელიც შედარებით მაღალია, მაგრამ არ არის რეგულარული; და მეორე, რეგულარული გადასახადები, როგორიცაა ტარიფები, ან ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები.⁶⁸

საინვესტიციო ხარჯების ანაზღაურება და მომსახურების ეფექტიანი მიწოდება მნიშვნელოვანია თავად სერვისის მდგრადობისთვის, მაგრამ ამან არ უნდა ხელყოს მოქალაქეთა ეკონომიკური ხელმისაწვდომობა.⁶⁹ სრულიად უფასო სერვისის მიწოდება შესაძლოა ადმინისტრაციულად ეფექტიანი გზა იყოს ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, თუმცა აღნიშნული კითხვებს აჩენს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი რესურსების სათანადო გამოყენებასთან მიმართებით.⁷⁰

სახელმწიფოს ფართო დისკრეტია აქვს ყველაზე შესაფერისი საშუალებების შესარჩევად. ეს შეიძლება იყოს დაბალბიუჯეტური ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა, შესაბამისი ფასების პოლიტიკის შემუშავება, რომელიც უფასო ან იაფ წყალსაც მოიცავს, ასევე, შემოსავლის დანამატის შემოღება (მაგ. სუბსიდიები ან სხვა მექანიზმები). მომსახურების გადასახადი უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობის პრინციპს, მათ შორის, სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის, და ღარიბი ოჯახები, მდიდარ მოსახლეობასთან შედარებით, არაპროპორციულად არ უნდა დაიტვირთონ წყლის სერვისის ხარჯებით.⁷¹

ამდენად, არ არსებობს არათუ ყველა ქვეყნისთვის შესაფერისი, არამედ ქვეყნის შიგნით მორგებული ერთიანი ფორმულა,⁷² ვინაიდან, შესაძლოა, მოსახლეობის გარკვეული სეგმენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს კონკრეტული გადასახადი, მეორისთვის კი - არა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოქალაქეებს, რომლებსაც დაბალი შემოსავალი აქვთ, ან რომლებიც შემოსავლის გარეშე არიან.⁷³

უფლებრივი სტანდარტი ასევე ხაზს უსვამს, რომ უნდა არსებობს ადეკვატური საკანონმდებლო პროცედურული გარანტიები გადაუხდელობის გამო წყლის შეწყვეტის შემთხვევებისთვის, რათა დადგინდეს გადაუხდელობის მიზეზი და მომხმარებელს მიეცეს დავალიანების გადახდის შესაძლებლობა.⁷⁴ ეს განსაკუთრებით საგულისხმოა, ვინაიდან სერვისების გათიშვა გადახდისუუნარობის გამო გაუმართლებელია, არღვევს ადამიანის უფლებას

68 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by the UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Legislative, regulatory and policy frameworks**, 2014, გვ. 50.

69 იქვე, გვ. 49.

70 იქვე, გვ. 50.

71 გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #15, 2002E/C.12/2002/11, (c), Obligations to fulfil, პარაგრაფი 27.

72 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by the UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Legislative, regulatory and policy frameworks**, 2014, გვ. 49.

73 იქვე.

74 იქვე, გვ. 51.

და რეგრესული/საფრთხის შემცველი ზომაა.⁷⁵ სერვისის გათიშვა გადაუხდელობის გამო დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე გადახდისუნარიანია და არ იხდის.⁷⁶ მომსახურების მიმწოდებლებმა ასევე უნდა შეისწავლონ ნებისმიერი გათიშვის გავლენა, რათა დარწმუნდნენ, რომ ქმედება აუცილებელი და პროპორციულია.⁷⁷ თავად მოქალაქის მოთხოვნით გათიშვაც პრობლემური საკითხია, რადგან ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ეკონომიკური ხელმისაწვდომობის ნაკლებობით და მოქალაქე ამჯობინებდეს წყლის ალტერნატიულ წყაროებზე დაყრდნობას, რაც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებს უკავშირდება.⁷⁸ თუ სერვისის გათიშვით გადაუხდელობის გამო და დადასტურდება გადახდისუნარობა, დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს მიწოდება, გადახდის/არგადახდის მიუხედავად.⁷⁹

4.4 წყლის ხარისხი

წყლის უფლების რეალიზაციის ერთ-ერთ მთავარი კრიტერიუმია წყლის ხარისხი. სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს წვდომა სათანადო წყალზე, არა მხოლოდ ადამიანის ღირსების ფუნდამენტს ქმნის, არამედ ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია თავად წყლის მარაგებისა და რესურსების ხარისხის დასაცავად.⁸⁰

კომიტეტის განმარტებით, პირადი ან საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის საჭირო წყალი უნდა იყოს უსაფრთხო და, ამდენად, თავისუფალი მიკროორგანიზმებისგან, ქიმიური ნივთიერებებისა თუ რადიოლოგიური საფრთხისგან, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.⁸¹

საკანონმდებლო ჩარჩომ უნდა უზრუნველყოს წყლის უსაფრთხოება და ხარისხი. ამდენად, აუცილებელია ეროვნული კონტექსტის შესაბამისი სტანდარტების შემუშავება, რომლებიც, თავის მხრივ, დაეყრდნობა **ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) სახელმძღვანელო** მითითებებს და გაითვალისწინებს მოწყვლადი ჯგუფების ინტერესებს.⁸²

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) სახელმძღვანელო სასმელი წყლის ხარისხის შესახებ ადგენს ქიმიურ და ბიოლოგიურ ნივთიერებათა რეკომენდებულ ზღვრებს. დადგენილი ლიმიტების მიზანია, მაქსიმალურად გაზარდოს წყლის უსაფრთხოების

75 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Planning processes, service providers, service levels and settlements**, 2014, გვ. 40.

76 იქვე.

77 იქვე, გვ. 41.

78 იქვე.

79 იქვე.

80 გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #15, 2002E/C.12/2002/11, პარაგრაფი 29.

81 იქვე, პარაგრაფი 12.b.

82 UN, Economic and Social Council, Realization of the right to drinking water and sanitation Report of the Special Rapporteur, El Hadji Guissé, **Draft guidelines**, E/CN.4/Sub.2/2005/25, 2005, პარაგრაფი 7.1.

ალბათობა ადამიანისთვის, გრძელვადიანი მიზანი კი უნდა იყოს ამ მითითებების სრულად შესრულება.⁸³

თავის მხრივ, აღნიშნული სახელმძღვანელო პერიოდულად განახლდება და ეფუძნება WHO-ის მიერ ათწლეულების განმავლობაში (1983 წლიდან) შემუშავებულ მითითებებს წყლის ხარისხთან დაკავშირებით, რომლებიც ავტორიტეტული საფუძველია ეროვნული რეგულაციებისა და სტანდარტების შესამუშავებლად. მაგალითად, უკანასკნელად, სახელმძღვანელო 2022 წელს განახლდა.⁸⁴

ხარისხის მონიტორინგი ძვირადღირებული ღონისძიებაა. ამდენად, შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყნებში დაშვებულია შუალედური მიზნების (სტანდარტების) დასახვაც, საბოლოო მიზნის სრულად მიღწევამდე,⁸⁵ თუმცა აუცილებელია ამ სტანდარტთა პერიოდული და პროგრესული გადახედვა.⁸⁶ ასევე სახელმწიფოს ვალდებულებაა რეგულაციებისა და პოლიტიკის შემუშავება წყლის რესურსთა დაბინძურების **გასაკონტროლებლად**.⁸⁷

მცირე ზომის წყალმომარაგების სისტემებზე დამოკიდებული, განსაკუთრებით, დაბალ-შემოსავლიანი თემებისთვის, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ფინანსური და ტექნიკური დახმარება, მათ შორის, ინფორმირებისა და ტრენინგების გზით.⁸⁸

როგორც სპეციალური მომხსენებელი მიუთითებს, ქსელური წყალმომარაგება სახლებში სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის ოქროს სტანდარტია, თუმცა სოფლად სასმელ წყალს ხშირად საჯარო წყაროებიდან/ჭაბურღილებიდან მოიპოვებენ, ან მოქალაქეები თავად იღებენ კერძო ჭებიდან, პირდაპირ წყაროებიდან, მდინარეებიდან და ტბებიდან. თითქმის ყველა ასეთ შემთხვევაში, წყალმომარაგების ქსელების არარსებობა და ქლორირებისა და ხარისხის მონიტორინგის ნაკლებობა მიუთითებს მაღალ რისკზე, რომ წყალი სასმელად უვარგისია.⁸⁹

83 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Monitoring compliance with the human rights to water and sanitation**, 2014, გვ. 18.

84 **The World Health Organization's (WHO)**, Guidelines for drinking-water quality: fourth edition incorporating the first and second addenda, 2022, იხ. ბმული: <<https://www.who.int/publications/i/item/9789240045064>>.

85 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Monitoring compliance with the human rights to water and sanitation**, 2014, გვ. 18; მაგალითად, ხელისუფლებას შეუძლია, მინიმალურ მიზნად დაისახოს ის, რომ წყალი არ დაბინძურდეს ფეკალური ნივთიერებებით და ბუნებრივად წარმოქმნილი მინერალებით/ლითონებით, რომლებიც იწვევს დაავადებას, ასევე, ადგილობრივი მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის ნარჩენებით.

86 UN, Economic and Social Council, Realization of the right to drinking water and sanitation Report of the Special Rapporteur, El Hadji Guissé, **Draft guidelines**, E/CN.4/Sub.2/2005/25, 2005, პარაგრაფი 7.2.

87 იქვე, პარაგრაფი 7.3.

88 იქვე, პარაგრაფი 7.5.

89 UN, General Assembly, Report of the Special Rapporteur on the human rights to safe drinking water and sanitation, Human rights to safe drinking water and sanitation of people in impoverished **rural areas**, A/77/167, 2022, პარაგრაფი 34, იხ. ბმული: <<https://documents.un.org/doc/undoc/gen/n22/426/99/pdf/n2242699.pdf>>.

4.5 მისაღობა

გაეროს ზოგადი კომენტარი მიუთითებს, რომ წყალს უნდა ჰქონდეს პირადი თუ საყოფაცხოვრებო გამოყენებისთვის მისაღები **ფერი, სუნი და გემო**.⁹⁰ ეს ნიშნავს, რომ წყალი უნდა აკმაყოფილებდეს ადგილობრივ სოციალურ და კულტურულ სტანდარტებს, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისთვის.⁹¹

ადგილობრივ კონტექსტში, მოქალაქეებისთვის მისაღები წყალი (ფერი, სუნი, გემო) მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მათ არ მიმართონ დაბინძურებულ ალტერნატივებს, რომლებიც შეიძლება უფრო მიმზიდველად გამოიყურებოდეს. მისაღობობის კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს წყალმომარაგების ყველა საშუალება, მათ შორის, ქსელური მომარაგება, ცისტერნები, ჭები და სხვა.⁹²

ამდენად, წყალმომარაგება უნდა მოერგოს ადგილობრივ კულტურულ პრაქტიკას, რათა ნამდვილად მისაღები და ხელმისაწვდომი იყოს, მათ შორის, ყველა მოწყვლადი ჯგუფისთვის.⁹³

სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მკაფიო პოლიტიკით განსაზღვროს პარამეტრები, რომლებიც მისაღობობის დასადგენად გამოიყენება კონკრეტულ დასახლებაში/ტერიტორიაზე, ასევე, განსაზღვროს გზები, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ეს მომავალში, პროგრესული რეალიზაციის კონცეფციის გათვალისწინებით.⁹⁴

4.6 მდგრადობა

წყალი სოციალურ-კულტურული სიკეთეა და არა პირდაპირ ეკონომიკური.⁹⁵ ამდენად, წყალზე უფლების რეალიზაცია უნდა იყოს მდგრადი ახლანდელი და მომავალი თაობებისთვის.⁹⁶

90 გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #15, 2002E/C.12/2002/11, პარაგრაფი 12.b.

91 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Introduction**, 2014, გვ. 37.

92 **OHCHR, UN-HABITAT, The World Health Organization (WHO)**, The Right to Water, Fact Sheet No. 35, 2010, გვ. 9.

93 **Human Right 2 Water**, A practical guide for the realization of the human rights to water and sanitation through programming, 2021, გვ. 19, იხ. ბმული: <<http://humanright2water.org/blog/2021/03/19/a-human-rights-based-approach-manual/>>.

94 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Planning processes, service providers, service levels and settlements**, 2014, გვ. 25.

95 გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #15, 2002E/C.12/2002/11, პარაგრაფი 11.

96 იქვე.

წყლის სერვისის უზრუნველყოფისას დაცული უნდა იყოს ბუნებრივი გარემო და მომავალ თაობათა უფლებები, რაც მოითხოვს ბალანსის დაცვას ფინანსური, სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის სხვადასხვა განზომილებას შორის.⁹⁷

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა მოითხოვს ფინანსური, სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის გაგებას რეგრესული რეალიზაციის საწინააღმდეგოდ. უნდა უმჯობესდებოდეს სერვისი, ნარჩუნდებოდეს პოზიტიური შედეგი და თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი გაუარესება.⁹⁸ მდგრადობა მიიღწევა ტექნოლოგიური გადაწყვეტით, რომლის ადგილობრივ დონეზე შენარჩუნება შესაძლებელია.⁹⁹

სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ სტანდარტები წყლის მომსახურების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მიუხედავად იმისა, ვინ აწვდის სერვისს - სახელმწიფო, თუ კერძო სუბიექტი.

97 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Planning processes, service providers, service levels and settlements**, 2014, გვ. 22.

98 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Introduction**, 2014, გვ. 33.

99 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by the UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Legislative, regulatory and policy frameworks**, 2014, გვ. 38.

5

წყლის უფლების რეალიზაციისთვის მნიშვნელოვანი, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა

წყალზე უფლების რეალიზაცია, ადამიანის სხვა უფლებათა მსგავსად, მოითხოვს რამდენიმე საკვანძო პრინციპზე დაფუძნებულ მიდგომას, რაზეც მიუთითებს როგორც კომიტეტის ზოგადი კომენტარი, ასევე სხვადასხვა სახელმძღვანელო დოკუმენტი.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ჩარჩო განსაზღვრავს სტანდარტებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია წყლის რესურსების განაწილებასთან დაკავშირებული პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას. ამდენად, საერთაშორისო სტანდარტთა გათვალისწინებით, წყალზე უფლების სრულფასოვანი დაცვის მთავარი პრინციპებია: **დისკრიმინაციის დაუშვებლობა და თანასწორობა, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, მონაწილეობა და სახელმწიფოს ანგარიშვალდებულება.**

5.1 დისკრიმინაციის დაუშვებლობა და თანასწორობა

სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს როგორც თითოეული ინდივიდის, ასევე ყველა ჯგუფის თანასწორობა. წყალი, ასევე, წყლის ობიექტები და სერვისები, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის, ყველაზე დაუცველი და მოწყვლადი ფენის ჩათვლით, როგორც კანონმდებლობით, ისე პრაქტიკაში, ნებისმიერი აკრძალული საფუძვლით დისკრიმინაციის გარეშე.¹⁰⁰ ამავე დროს, როგორც აღინიშნა, წყლის უფლებასთან მიმართებით დისკრიმინაციის აკრძალვას დაუყოვნებლივი მოქმედების ძალა აქვს.¹⁰¹ დაუშვებელია წყალზე წვდომისას დისკრიმინაცია, როგორც კონკრეტული ნიშნებით, ასევე „სხვა სტატუსის“ გამო.¹⁰² სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ ინდივიდების ან ჯგუფების საჭიროებებს, რომლებიც დაუცველნი არიან ან, ტრადიციულად, სირთულეებს აწყდებიან წყლის უფლების რეალიზებაში. მათ შორის არიან ქალები, ბავშვები, მკვიდრი მოსახლეობა, სოფლად მცხოვრები ადამიანები, ქალაქში მცხოვრები ღარიბი მოქალაქეები, მომთაბარე და მოგზაურთა თემები, ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებლები, იძულებით გადაადგილებული პირები, მიგრანტი მუშაკები,

100 გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #15, 2002E/C.12/2002/11, პარაგრაფი 12.c.iii.

101 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by the UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Access to justice for violations of the human rights to water and sanitation**, 2014, გვ. 13.

102 სქესის, ასაკის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმომადგენლობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ადგილის, შეზღუდული შესაძლებლობების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური ან სხვა სტატუსის გამო; გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #15, 2002E/C.12/2002/11, პარაგრაფი 13.

პატიმრები და დაკავებულები, არაფორმალური დასახლებები, ეთნიკური ან ენობრივი ჯგუფები, ასევე, სხვა ჯგუფები, რომლებიც სირთულეების წინაშე დგანან.¹⁰³ არათანაბარი ხელმისაწვდომობა შესაძლოა აღინიშნებოდეს პირების/ჯგუფების საცხოვრებელი ადგილის და არა აშკარა დისკრიმინაციული მიზეზების გამო.¹⁰⁴

დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი თავისთავად აღიარებს, რომ ადამიანები სხვადასხვა ბარიერის წინაშე დგანან და განსხვავდება მათი საჭიროებებიც, თანდაყოლილი მახასიათებლებისა თუ დისკრიმინაციული პრაქტიკის გათვალისწინებით. ამდენად, ისინი საჭიროებენ განსხვავებულ მიდგომებსა და მხარდაჭერას. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები დისკრიმინაციის მიზეზთა შესამცირებლად და აღმოსაფხვრელად, რათა მიაღწიოს სერვისებთან დაკავშირებულ თანასწორობას. თავის მხრივ, ეს სახელმწიფოსგან მოითხოვს ცოდნას, თუ რა უთანასწორობა არსებობს არა მხოლოდ სხვადასხვა შემოსავლის მქონე ჯგუფებს, არამედ სოფლად და ქალაქად მცხოვრებ მოსახლეობას შორის, ასევე, გენდერულ ჭრილში და დაუცველ ჯგუფებთან მიმართებით.¹⁰⁵

შეუძლებელია უარყოფა, რომ უთანასწორობისა და დისკრიმინაციის სისტემური გამოსწორება დროსა და ხარჯებს მოითხოვს. ეს, გარკვეულწილად, დამოკიდებულია ხელმისაწვდომ რესურსებზე, თუმცა უთანასწორობის აღმოფხვრელობის შემთხვევაში, სახელმწიფოს ეკისრება მტკიცების ტვირთი საკუთარი უმოქმედობს გასამართლებლად. არის შემთხვევები, როდესაც ისტორიული ან ღრმად ფესვგადგმული დისკრიმინაცია იმდენად გადაუჭრელი პრობლემაა, რომ გამართლებულია დროებითი სპეციალური ზომების მიღება, რომლებსაც ხშირად უწოდებენ „დადებით მოქმედებას“ (affirmative action) ან „პოზიტიურ დისკრიმინაციას“.¹⁰⁶

სახელმწიფოებმა უნდა აკონტროლონ, თუ რამდენად ხერხდება თანასწორობის უზრუნველყოფა, ასევე, შეიმუშაონ შესაბამისი პოლიტიკა/გეგმები/ინდიკატორები და შეაფასონ, აღწევნა თუ არა გადადგმული ნაბიჯებით შედეგს უთანასწორობის აღმოფხვრის პროცესში.¹⁰⁷

103 UN, Economic and Social Council, Realization of the right to drinking water and sanitation Report of the Special Rapporteur, El Hadji Guissé, **Draft guidelines**, E/CN.4/Sub.2/2005/25, 2005, პარაგრაფები 3.1. და 3.2.

104 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by the UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Legislative, regulatory and policy frameworks**, 2014, გვ. 17.

105 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Introduction**, 2014, გვ. 31.

106 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by the UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Principles**, 2014, გვ. 14-16.

107 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by the UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Legislative, regulatory and policy frameworks**, 2014, გვ. 16.

5.2 ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ინფორმაციაზე წვდომის გარეშე, წყალზე უფლების რეალიზაცია წარმოუდგენელია. სახელმწიფო ანგარიშვალდებულების გაძლიერება მხოლოდ ინფორმირებულ საზოგადოებას შეუძლია.

საზოგადოებას უნდა ჰქონდეს წვდომა ინფორმაციაზე, შემდეგი **მიზნების** მისაღწევად:¹⁰⁸

- ❖ დემოკრატიული ჩართულობა (ადგილობრივ საბჭოებში ჩართულობა, ბიუჯეტის დაგეგმვა მონაწილეობითი გზით);
- ❖ აქტიური, თავისუფალი და მნიშვნელოვანი მონაწილეობა წყალთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებასა და დაგეგმვაში;
- ❖ მონიტორინგი და პასუხისმგებლობის დაკისრება;
- ❖ ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღება წყლის გამოყენებასა და სერვისთან დაკავშირებით.

ღარიბი და მოწყვლადი პირები/ჯგუფები ხშირად გამოირიცხებიან საჯარო დებატებიდან, ვერ მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში და ვერ ზემოქმედებენ ისეთ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც სერიოზულ გავლენას ახდენს მათ ყოველდღიურობაზე, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა კი ხელს უწყობს არსებული უთანასწორობის დაბალანსებას.¹⁰⁹

მოქალაქეებს უფლება აქვთ, იცოდნენ როგორც **საკუთარი უფლებები, ასევე მათი დაცვის მექანიზმები**. ამდენად, სახელმწიფომ ყველასთვის უნდა უზრუნველყოს წვდომა ინფორმაციაზე წყლის სტანდარტებთან, მათი შესრულების პროგრესსა და დანერგილ მექანიზმებთან დაკავშირებით. გამჭვირვალობა მოითხოვს, რომ ეს ინფორმაცია მიეწოდებოდეს ღიად, სპეციალური მოთხოვნის გარეშე.¹¹⁰

ზემოთ მიმოხილული კრიტერიუმების განმარტებიდანაც ჩანს, რომ ინფორმირებულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულად ყველა კომპონენტისთვის, განსაკუთრებით, წყლის ხარისხსა და სერვისის სხვადასხვა მიზეზით შეწყვეტაზე (მათ შორის, შეწყვეტის ხანგრძლივობასა და აღდგენის დროზე).

წყალსა და წყლის სერვისთან დაკავშირებული მონაცემები და ინფორმაცია, საჯაროდ ხელმისაწვდომობასთან ერთად, **გასაგები უნდა იყოს ყველასთვის**, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის, ასევე, მოქალაქეებისთვის, რომლებმაც არ

108 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by the UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Principles**, 2014, გვ. 36.

109 იქვე.

110 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Introduction**, 2014, გვ. 31.

იცინ კითხვა.¹¹¹ ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ინფორმაციის/მონაცემების ტექნიკური ენა. უფლებრივი სტანდარტი მოითხოვს, რომ ინფორმაცია მარტივად აღსაქმელი და გასაგები იყოს ყველასთვის და არა მხოლოდ ექსპერტებისთვის.¹¹² გამოყენებული უნდა იყოს მარტივი და არაფორმალური ენა, მაგალითების მითითებით, ვინაიდან ფორმალური საუბარი ამცირებს სანდოობას და იძლევა ბუნდოვანი და არასწორი ინტერპრეტაციის საშუალებას.¹¹³

საინფორმაციო წყაროებად უნდა გამოიყენებოდეს როგორც მთავარი მედიასაშუალებები, ასევე ადგილობრივ დონეზე გამოსადეგი სათემო და ალტერნატიული არხები. მასალები უნდა მოერგოს კონტექსტს, იყოს კულტურულად მგრძნობიარე და ითარგმნოს ყველა შესაბამის ენასა და დიალექტზე. ტექნოლოგიების გამოყენება და მონაცემთა ბაზების წარმოება მნიშვნელოვანია, თუმცა გასათვალისწინებელია ინტერნეტზე წვდომის საკითხიც. მოქალაქეებს, რომლებსაც არ აქვთ წვდომა ინტერნეტზე, ინფორმაცია უნდა მიეწოდებოდეთ ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, ალტერნატიული გზების მეშვეობით.¹¹⁴ ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ ონლაინ ან კომერციულ გაზეთებში ქვეყნდება, ძირითადად, უსარგებლო და გამოუსადეგარი რჩება.¹¹⁵

გარდა ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობისა, მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს **ცნობიერების ამაღლებას და შესაძლებლობათა გაძლიერებას** მოსახლეობაში. ეს შეიძლება მოიცავდეს ინფორმირებას ეროვნული და ადგილობრივი სტრატეგიების, ტარიფებისა და სერვისების, ასევე, პოლიტიკის შესახებ.¹¹⁶ აღნიშნულს შეუძლია, ხელი შეუწყოს მოქალაქეთა სრულფასოვან სარგებლობას საკუთარი უფლებებით.

5.3 საზოგადოების მონაწილეობა

საზოგადოების **აქტიური, თავისუფალი და შინაარსიანი** მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, არაერთი უფლების მსგავსად, წყლის უფლების რეალიზაციისთვისაც გადამწყვეტია.

მონაწილეობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა დონეზე, იქნება ეს პოლიტიკისა და სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, თუ ბიუჯეტის განსაზღვრა; გადაწყვეტილებათა მიღება

111 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by the UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Legislative, regulatory and policy frameworks**, 2014, გვ.19.

112 იქვე, გვ. 21.

113 იქვე. მაგალითად, გაერთიანებულმა სამეფომ შექმნა სახელმძღვანელო, რომელიც შეიძლება ყველა სახელმწიფოს დაეხმაროს ამ მიზნის მიღწევაში.

114 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by the UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Principles**, 2014, გვ. 46.

115 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by the UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Access to justice for violations of the human rights to water and sanitation**, 2014, გვ. 42.

116 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by the UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Legislative, regulatory and policy frameworks**, 2014, გვ. 21.

სერვისის ტიპზე, ადგილმდებარეობასა და გაუმჯობესების გზებზე; კერძო სექტორის ჩართულობა და ჩართულობის ფორმების განსაზღვრა; წყალმომარაგების გათიშვა და საგანგებო სიტუაციებში მომსახურება.

ინდივიდებისა და ჯგუფების უფლება, მონაწილეობდნენ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი წყლის უფლების განხორციელებაზე, უნდა იყოს წყალთან დაკავშირებული ნებისმიერი პოლიტიკის, პროგრამის ან სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი.¹¹⁷

სახელმწიფომ უნდა შეაფასოს მონაწილეობის **ბარიერებიც**. ეს შესაძლოა იყოს: ენობრივი ბარიერები, შეხვედრის დრო, ადგილი, ფიზიკური წვდომა, განხილვის ვადები, სეზონური მიგრაცია და სხვა დაბრკოლებები.¹¹⁸

საზოგადოების მონაწილეობის ერთ-ერთ გამოწვევად სპეციალური მომხსენებელი ასახელებს იმასაც, რომ, როგორც წესი, პროცესში დომინირებენ კაცები, უმრავლესობაში მყოფი ჯგუფები და მაღალი სოციალური სტატუსისა და განათლების მქონე ოჯახები, შესაბამისი ზომების მიღების გარეშე. ამდენად, სახელმწიფოს ვალდებულებაა, გამოავლინოს არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეები/ჯგუფები და მიზანმიმართული ძალისხმევა გაიღოს პროცესებში მათ ჩასართავად. ამის ეფექტიანად მიღწევა შესაძლებელია ადგილობრივ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებთან მუშაობით და პროცესების დეცენტრალიზაციით.¹¹⁹

საზოგადოების მონაწილეობა არც იმ არგუმენტით უნდა გამოირიცხოს, რომ წყლის სერვისთან დაკავშირებული კომპლექსური და ტექნიკური საკითხები საჭიროებს ექსპერტულ ცოდნას და მოქალაქეებისთვის რთული გასაგებია. ექსპერტთა როლი შეუცვლელია, თუმცა ისინი უნდა ეხმარებოდნენ მოქალაქეებს ცოდნის გაზიარებით და იღებდნენ ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს.¹²⁰

ბავშვები ასევე ხშირად გამოირიცხებიან ამ პროცესებიდან, და ეს მაშინ, როცა ზრდასრულთა მონაწილეობა ავტომატურად არ ნიშნავს ბავშვთა ხმის წარმომადგენლობასაც. ამდენად, არასრულწლოვნებისთვის სივრცის შექმნა და საკმარისი დროის მიცემა ასევე აუცილებელია.¹²¹

შინაარსობრივი და ნამდვილი მონაწილეობა არ ნიშნავს მხოლოდ აზრის გამოხატვის შესაძლებლობას: მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ **მოლოდინი, რომ მათ შეხედულებებს**

117 გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #15, 2002E/C.12/2002/11, პარაგრაფი 37f და 48.

118 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by the UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Principles**, 2014, გვ. 59.

119 იქვე, გვ. 64.

120 იქვე, გვ. 63.

121 იქვე, გვ. 65.

შეუძლიათ გავლენის მოხდენა გადაწყვეტილებათა მიღებაზე. თუ საზოგადოებას არ აქვს აღნიშნული გავლენა, ეს დიდ იმედგაცრუებას იწვევს. სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს საზოგადოების მოსაზრებები და აცნობოს მას, რა არ მიიღო და რატომ.¹²²

5.4 ანგარიშვალდებულება

ანგარიშვალდებულების მექანიზმები გადამწყვეტია სახელმწიფოს მიერ ვალდებულებების შესასრულებლად.

ანგარიშვალდებულება მოითხოვს კანონების, პოლიტიკის, ინსტიტუტების, ადმინისტრაციული პროცედურებისა და გამოსასწორებელი მექანიზმების შემუშავებას, რათა დაცული იყოს უსაფრთხო სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა.¹²³

ყველას უნდა ჰქონდეს წვდომა ადმინისტრაციულ ან სასამართლო პროცედურებზე, როცა საჯარო ან კერძო ორგანიზაციები, თავიანთი მოქმედებით/უმოქმედობით, არღვევენ წყალზე უფლებას. ამასთან, სახელმწიფოებმა უნდა აკონტროლონ წყლის უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, დამოუკიდებელი ორგანოს საშუალებით, და ეს საქმიანობა უნდა იყოს გამჭვირვალე.¹²⁴

ამდენად, ანგარიშვალდებულება, ერთი მხრივ, მოიცავს მონიტორინგსა და ზედამხედველობას სერვისის ხელმისაწვდომობაზე, მეორე მხრივ კი დარღვეულ უფლებათა აღდგენის შესაძლებლობასა და მართლმსაჯულებას.

არ არსებობს ზუსტი ფორმულა ეროვნული მექანიზმების შესაქმნელად და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, თუმცა ასეთი მექანიზმები, სულ მცირე, უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და ეფექტიანი.¹²⁵

ხელისუფლების დეცენტრალიზების შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მანდატის სიცხადეს. ადგილობრივი ხელისუფლება ხშირად არ ფლობს შესაძლებლობებსა და რესურსებს ყველა ვალდებულების სრულად შესრულებისათვის და ნაკლებად იცნობს საერთაშორისო ან ეროვნულ სტანდარტებს. ამდენად, დეცენტრალიზაციას უნდა ახლდეს ადეკვატური შესაძლებლობების, რესურსებისა და მკაფიო ანგარიშვალდებულების მექანიზმების ჩამოყალიბება.¹²⁶

122 იქვე, გვ. 60.

123 OHCHR, UN-HABITAT, The World Health Organization (WHO), The Right to Water, Fact Sheet No. 35, 2010, გვ. 17.

124 UN, Economic and Social Council, Realization of the right to drinking water and sanitation Report of the Special Rapporteur, El Hadji Guissé, **Draft guidelines**, E/CN.4/Sub.2/2005/25, 2005, პარაგრაფები 9.1. და 9.2.

125 OHCHR, UN-HABITAT, The World Health Organization (WHO), The Right to Water, Fact Sheet No. 35, 2010, გვ. 38.

126 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by the UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Legislative, regulatory and policy frameworks**, 2014, გვ. 30.

6

წყალზე უფლების ეროვნული გარანტიები

გაეროს სპეციალური მომხსენებლის განმარტებით, ზოგადად, წყალზე უფლების კონსტიტუციურ გარანტიას სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა შეიძლება სხვადასხვა ფორმით სთავაზობდეს (როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ).¹²⁷ არაერთი ქვეყნის კონსტიტუცია იცნობდა ამ უფლებას¹²⁸ ჯერ კიდევ გაეროს მიერ აღიარებამდე (2010), თუმცა ის ქვეყნების კონსტიტუციებში გაჩნდა ამ აღიარების შემდეგაც. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოს არ ავალდებულებს წყალზე უფლების კონსტიტუციით აღიარებას, თუმცა, მკაფიო და უზენაესი აღიარების გარეშე, წყალზე უფლების დაცვა შეიძლება იყოს ფრაგმენტული და გაიფანტოს სხვადასხვა კანონში, რეგულაციასა თუ პოლიტიკაში, რაც განსხვავებულ განმარტებებს იწვევს.¹²⁹

საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ არ აღიარებს წყლის უფლებას და, ამ მიმართულებით, არც საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა არსებობს. თუმცა, კონსტიტუციით აღიარებული სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაზე, ასევე, ღირსეული საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე.¹³⁰ კონსტიტუციით განმტკიცებულია გარემოს დაცვის უფლებაც.¹³¹

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, გარემოს დაცვის უფლება მოიაზრებს ყველას უფლებას, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი. ასევე, ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.¹³² ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით.¹³³

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გარემოს შემადგენელი ერთ-ერთი ელემენტია წყალი.¹³⁴ გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები ასევე

127 იქვე, გვ. 11.

128 პირველი ასეთი სახელმწიფო იყო ურუგვაი (2004). ევროკავშირში პირველი ქვეყანა იყო სლოვენია, რომელმაც 2016 წელს კონსტიტუციური ცვლილებით აღიარა წყალზე უფლება; Human Right 2 Water, National human rights institutions and water governance, compilation of good practices, 2020, გვ. 38.

129 Realising the human rights to water and sanitation: A Handbook by the UN Special Rapporteur on the human right to safe drinking water and sanitation, **Legislative, regulatory and policy frameworks**, 2014, გვ. 12.

130 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5, პუნქტი 4.

131 იქვე, მუხლი 29.

132 იქვე, მუხლი 29, პუნქტი 1.

133 იქვე, მუხლი 29, პუნქტი 2.

134 „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 4, პუნქტი დ2.

გულისხმობს წყალში ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსთვის მავნე ნივთიერებების კონცენტრაციისა და მიკროორგანიზმთა რაოდენობის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.¹³⁵

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით, საქართველომ აიღო ევროპულ სტანდარტთა დანერგვის, ასევე, საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჰარმონიზაციის ვალდებულებები. მათ შორისაა გარემოს ხარისხის შენარჩუნება, დაცვა და გაუმჯობესება, ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება. დასახელებულ სექტორებს შორისაა წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა.¹³⁶ ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი წყლის ხარისხის დირექტივის გათვალისწინებით, სახელმწიფომ უნდა დააწესოს სასმელი წყლის სტანდარტები, ჩამოაყალიბოს მონიტორინგის სისტემა და შეიმუშაოს მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმები.¹³⁷

საქართველოს აღებული აქვს **გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ვალდებულებებიც, რომელთაგან ერთ-ერთი**, როგორც ითქვა, არის წყალსა და სანიტარიაზე წვდომა ყველასთვის.¹³⁸

ასევე აღინიშნა, რომ საქართველოში სახელმწიფოს სტრატეგიული მიზანია წყალმომარაგების გამოწვევათა დაძლევა¹³⁹ და **2025-2030 წლებისთვის** სტანდარტთა შესაბამისი უწყვეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ქალაქების/ქვეყნის მოსახლეობის 100%-თვის.¹⁴⁰

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2022-2030 წლებისთვის) ნაწილია ხარისხიან სასმელ წყალზე წვდომის მუდმივი გაუმჯობესება, რაც დოკუმენტში ერთ-ერთ ამოცანად სახელდება ისეთი მიზნის მისაღწევად, როგორიცაა ჯანსაღ გარემოზე ადამიანის უფლების დაცვისა და უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესება.¹⁴¹

საქართველო ხელშემკვრელი მხარეა ადამიანის უფლებათა არაერთი საერთაშორისო შეთანხმებისა, რომელთა ერთობლიობაში განხილვით, საერთაშორისო სახელმძღვანელო დოკუმენტები განმარტავენ წყალზე უფლების შინაარსსა და გარანტიებს და ადგენენ სახელმძღვანელო პრინციპებს.

135 იქვე, მუხლი 29, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ა“.

136 ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, მუხლი 302, პუნქტი 1c.

137 იქვე, მუხლები 355-356.

138 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მდგრადი განვითარების მიზნები, მიზანი 6.

139 საქართველოს მთავრობის 2022 წლის 3 ნოემბრის #517 დადგენილების დანართი 2, „ხედვა 2030, საქართველოს განვითარების სტრატეგია, გვ. 47, იხ. ბმული: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5604706?publication=0>>.

140 იქვე, გვ. 151-152.

141 საქართველოს პარლამენტის დადგენილება 23/03/2023 „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2022-2030 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ, დანართი 1, გვ. 42-43, იხ. ბმული: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5757268?publication=0>>.

ამდენად, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ისე საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებების დაცვით და გაცხადებული პოლიტიკური ხედვით, საქართველო გამოხატავს მისწრაფებას, თავისი მოქალაქეებისთვის უზრუნველყოს წვდომა საერთაშორისო სტანდარტთა შესაბამის წყალზე.

6.1 საკანონმდებლო ჩარჩო

კონსტიტუციურ გარანტიებთან ერთად, შემდგომ საკანონმდებლო მოწესრიგებასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წყლის უფლების სრულფასოვნად განხორციელებისთვის, რასაც ასევე ცხადყოფს საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა ანგარიშის პირველ ნაწილში. სახელმწიფომ თავად უნდა დაადგინოს წყალზე უფლების მკაფიო **სტანდარტები** და მიაღწიოს მის ეტაპობრივ და პროგრესულ რეალიზაციას. გარდა უფლების დაცვის კრიტერიუმებისა, ეროვნული კანონმდებლობა მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს **ადამიანის უფლებათა დაცვის იმ პრინციპებსა და გარანტიებს**, რომლებიც წყლის უფლების რეალიზაციის განუყოფელი ნაწილია.

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლება წყალზე გულისხმობს ყველას უფლებას, ჰქონდეს წვდომა სტანდარტების შესაბამის წყალზე პირადი და საშინაო (საყოფაცხოვრებო) გამოყენებისთვის - სასმელად, პირადი სანიტარიისთვის, ტანსაცმლის გასარეცხად, საკვების მოსამზადებლად, პირადი და საყოფაცხოვრებო ჰიგიენისთვის. საქართველოში მოქმედ ნორმატიულ აქტებში მოხსენიებულია სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალი, თუმცა კანონმდებლობა არ განმარტავს ამ უფლების შინაარსს, რაც ართულებს მისი ფარგლების დადგენას. სასმელ/საყოფაცხოვრებო წყალთან დაკავშირებული რეგულაციები ასახულია სხვადასხვა სამართლებრივ აქტში, რაც ართულებს უფლებრივი კომპონენტების/პრინციპების აღქმას, ასევე, პასუხისმგებელ უწყებათა კომპეტენციების ერთიანობაში გააზრებას.

სახალხო დამცველის შეფასებით, გაანალიზებული ეროვნული კანონმდებლობა სასმელი წყლის საკითხებს, ძირითადად, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კონტექსტში აღიქვამს, და არა მრავალმხრივი უფლებრივი პერსპექტივიდან. მართალია, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხები წყლის უფლების ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია, რასაც საერთაშორისო მიდგომებიც მოწმობს, არაერთხელ განიმარტა, რომ წყალი არ არის მხოლოდ ამ სფეროსთან დაკავშირებული რესურსი: მას გავლენა აქვს ადამიანის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებზე; ამასთანავე, წყალზე წვდომა ღირსების, სათანადო ცხოვრების დონის, კვებისა და არაერთი სხვა უფლების რეალიზაციის საფუძველიც არის. ასეთი სისტემური და მრავალმხრივი უფლებრივი მიდგომა კი, სახალხო დამცველის შეფასებით, არ აღიქმება არსებულ რეგულაციებში.

წინამდებარე ანგარიშის მიზნებიდან გამომდინარე, შემდეგ თავებში შემოთავაზებული მიმოხილვა და ანალიზი ეფუძნება იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც უკავშირდება სასმელი წყლის კრიტერიუმებს და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ პრინციპებს.

6.2 უწყებრივი კომპეტენციები და ვალდებულებები

2023 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „წყლის რესურსების მართვის შესახებ“, რომლის უდიდესი ნაწილი¹⁴² ამოქმედდება 2026-2030 წლებიდან. ახალი კანონის მიღება მნიშვნელოვანი იყო წყლის რესურსების მართვის სისტემის შესაბამისობაში მოსაყვანად სხვადასხვა საერთაშორისო დირექტივასთან. ეს კანონი ძალადაკარგულად აცხადებს საქართველოს კანონს „წყლის შესახებ“ (1997).¹⁴³ თუმცა, ვინაიდან ახალი კანონის სრულად ამოქმედებამდე, ძველი კანონი კვლავ ძალაში რჩება, არსებული მოწესრიგების ხარვეზები უნდა განვიხილოთ გარემოებებად, რომლებიც მრავალი წელია, აფერხებს წყლის უფლების რეალიზაციას.

„წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონის ერთ-ერთი მიზანია სუფთა წყალთან მოქალაქეთა წვდომის უფლების უზრუნველყოფა, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნით.¹⁴⁴ კანონი მიჯნავს სახელმწიფო უწყებათა კომპეტენციებსა და ვალდებულებებს წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებით. სასმელი წყლის საკითხებზე კომპეტენტური უწყებები არიან:

- ❖ **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო** (პოლიტიკის შემუშავება, სასმელი წყლის ხარისხის სახელმწიფო კონტროლი, მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდება სასმელი წყლის ხარისხობრივ მდგომარეობაზე და სხვა);¹⁴⁵
- ❖ **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** (სასმელი წყლის ხარისხობრივი ნორმების შემუშავება);¹⁴⁶
- ❖ **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო** (წყალმომარაგების სისტემისა და წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემის დანერგვა-განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებების განხორციელება);¹⁴⁷
- ❖ **საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია** („ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონიდან და სხვა საკანონმდებლო აქტებიდან გამომდინარე შესაბამისი უფლებამოსილებების განხორციელება);¹⁴⁸

142 „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 42.

143 იქვე, მუხლი 41.

144 იქვე, მუხლი 1, პუნქტი 1.

145 იქვე, მუხლი 6, პუნქტი 2, ქვეპუნქტები „ტ“ და „უ“.

146 იქვე, მუხლი 6, პუნქტი 3.

147 იქვე, მუხლი 6, პუნქტი 4.

148 იქვე, მუხლი 6, პუნქტი 7.



მუნიციპალიტეტი (წყალმომარაგებისა და ტექნიკური წყლით უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება).¹⁴⁹

ახალი კანონისგან განსხვავებით, ამ დროისთვის მოქმედი კანონი „წყლის შესახებ“ მკაფიოდ არ მიჯნავს უწყებრივ კომპეტენციებს.¹⁵⁰ იგი ასახელებს **საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას** განკუთვნილ საკითხებს წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის მოწესრიგებისას, კონკრეტულ უწყებათა ვალდებულებები კი გაბნეულია სხვადასხვა მუხლში,¹⁵¹ რაც ართულებს მათ აღქმას ერთობლიობაში. კანონი ცალკე გამოყოფს **მუნიციპალიტეტთა** უფლებამოსილებებს, რომლებიც თითქმის ახალი რეგულაციების იდენტურია.¹⁵²

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად,¹⁵³ მუნიციპალიტეტის **საკუთარი** და, ამდენად, სრული და ექსკლუზიური უფლებამოსილებაა წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა და ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება. კოდექსი ასევე განსაზღვრავს სასმელი წყლის მიწოდების პირობებს და მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტი ამ უფლებამოსილებას უზრუნველყოფს **ლიცენზიატი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებებით**, იმ დასახლებებში, სადაც სასმელი წყლის მიწოდებას და წყალარინების მომსახურებას შესაბამისი ლიცენზიატი მიმწოდებელი არ ახორციელებს.¹⁵⁴ ასე რომ, თვითმმართველობებში წყალმომარაგება უნდა ხორციელდებოდეს ლიცენზიატი სუბიექტის საშუალებით, რაც შეესაბამება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“

149 იქვე, მუხლი 6, პუნქტი 8, კერძოდ: მათ შორის, „წყალმომარაგების სისტემებისა და ურბანული ჩამდინარე წყლის შეგროვებისა და გაწმენდისთვის ტექნიკური და საინჟინერო პროგრამებისა და პროექტების მომზადებაში მონაწილეობა; სასმელი წყლის წყალმომარაგების ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონების პროექტების დამტკიცება; მოსახლეობისთვის სასმელი წყლის წყალმომარაგების ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონისა და მისი სარტყლების საზღვრების, აგრეთვე ამ ზონის ფარგლებში მოქმედი რეჟიმების გაცნობა; ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვა.“

150 „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი, თავი II.

151 მაგალითად, „საქართველოში წყლის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო მართვას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აგრეთვე, თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში, ახორციელებენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოები“, მუხლი 74, პუნქტი 2;

152 ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვის გამოკლებით, „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 12.

153 საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16, ნაწილი 2, პუნქტი „თ“.

154 იქვე, მუხლი 163, ნაწილები 1, 2, 3; მუნიციპალიტეტს, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასა და მიმწოდებელ კერძო სამართლის სუბიექტებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება შესაბამისი საკანონმდებლო აქტით. ამ აქტს ამზადებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და საქართველოს პარლამენტი წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

საქართველოს კანონის დანაწესს, რომ წყალმომარაგება ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქმიანობაა.¹⁵⁵

ამდენად, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, შესაბამის უწყებებს სხვადასხვა ვალდებულება აკისრიათ წყალმომარაგების სისტემის შექმნის/ხელშეწყობის/კონტროლის თვალსაზრისით, თავად წყალმომარაგების უზრუნველყოფის ვალდებულება კი დეცენტრალიზებულია, მიიჩნევა რა მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებად.

6.3 წყალზე უფლების კრიტერიუმები და პრინციპები

საქართველოს ახალი კანონი „წყლის რესურსების მართვის შესახებ“,¹⁵⁶ ისევე, როგორც საერთაშორისო სტანდარტი მოითხოვს, წყლის რესურსების სარგებლობისას პრიორიტეტად ასახელებს მოსახლეობის სასმელი/საყოფაცხოვრებო საჭიროებების დაკმაყოფილებას.

კანონი აქვე მიუთითებს, რომ მოსახლეობას უსაფრთხო წყალი უნდა მიეწოდებოდეს უწყვეტად, საკმარისი რაოდენობით და ხელმისაწვდომ ფასად. ამასთან, კანონის თანახმად, მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებისთვის უნდა გამოიყენებოდეს დაბინძურებისა და დანაგვიანებისგან საიმედოდ დაცული ზედაპირული ან/და მიწისქვეშა წყალი, რომლის ხარისხი, ბუნებრივ მდგომარეობაში ან სათანადო დამუშავების შემდეგ, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.¹⁵⁷

რაც შეეხება კიდევ ერთ კრიტერიუმს, **მდგრადობას**: ის არ არის დასახელებული ზემოთ მოთითებულ ჩამონათვალში, თუმცა კანონის ამოცანებს შორისაა სამართლებრივი საფუძვლის შექმნა წყლის რესურსების მდგრადი გამოყენებისთვის, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისა და **მდგრადი განვითარების** პრინციპების გათვალისწინებით.

ამდენად, ზემოთ მიმოხილული საერთაშორისო სტანდარტებით განმარტებულ კრიტერიუმებს, უმეტესწილად, ეროვნული კანონმდებლობაც ითვალისწინებს, თუმცა კანონში არ არის ასახული **მისაღებობის კრიტერიუმი** (თითოეული პირადი თუ საყოფაცხოვრებო გამოყენებისთვის მისაღები **ფერი, სუნი და გემო**). მხოლოდ სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი მიუთითებს, რომ უნდა ჩატარდეს სუნის, გემოს, ფერისა და სიმღვრივის რუტინული ლაბორატორიული კვლევები.¹⁵⁸

155 ვრცლად, იხ. წინამდებარე ანგარიშის მე-7 თავი „წყალმომარაგების სისტემა საქართველოში“.

156 „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 14, პუნქტი 1.

157 იქვე, მუხლი 13, პუნქტი „ა“.

158 საქართველოს მთავრობის 2014 წლის #58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, პუნქტი 9, ქვეპუნქტი „ა“.

გარდა წყლის უფლების რეალიზაციის კრიტერიუმთა ჩამონათვალისა, კანონი არ განმარტავს თითოეული კომპონენტის შინაარსს, არადა, ეს არსებითია სახელმწიფო ვალდებულებებისა და ეროვნული სტანდარტების დასადგენად. აღნიშნული შესაძლებელს ხდის, დადგინდეს მათი შესაბამისობა საერთაშორისო მიდგომებთან, შეფასდეს სახელმწიფოს მიერ გაწეული ძალისხმევა და პროგრესი და საზოგადოებისთვის განჭვრეტადი გახდეს უფლების შინაარსი და ფარგლები.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კანონისგან განსხვავებით, ჯერ კიდევ მოქმედი კანონი „წყლის შესახებ“, საერთოდ არ ითვალისწინებს უფლების კომპონენტებს და მხოლოდ წყლის უსაფრთხოებასა და ხარისხზე მიუთითებს.¹⁵⁹

რაც შეეხება მოქალაქეთა ინფორმირებისა და მონაწილეობის ვალდებულებებს, „წყლის რესურსების მართვის“ კანონის თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციაა სასმელი წყლის ხარისხობრივ მდგომარეობაზე მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა.¹⁶⁰ ამ მიზნით, სამინისტრო შეიმუშავებს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმს და 3 წელიწადში ერთხელ გამოაქვეყნებს ანგარიშს ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი წყლის მდგომარეობაზე, რომლის შინაარსი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.¹⁶¹ ამასთან, სასმელი წყლის ხარისხობრივ მდგომარეობაზე მომხმარებელს ინფორმაციას მიაწვდის სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო.

გარკვეული მიმართულებებით მოსახლეობის ინფორმირების ვალდებულება ექნებათ მუნიციპალიტეტებსაც, სხვადასხვა ფორმით (გამოქვეყნება, ინფორმაციის ცნობის სახით გავრცელება, მოქალაქეებისთვის საინფორმაციო ფურცლების დარიგება, შესაბამის წყლის ობიექტთან საინფორმაციო აბრის განთავსება და სხვა). აღნიშნული უკავშირდება მოსახლეობის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველ გარემოებათა არსებობას, რა დროსაც განისაზღვრება ადგილები, სადაც იკრძალება წყლის აღება სასმელად ან/და საყოფაცხოვრებო საჭიროებისთვის.¹⁶²

საპირისპიროდ, ამჟამად მოქმედი საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“ საერთოდ არ შეიცავს გარანტიებს მოქალაქეთა ინფორმირებისათვის სასმელ/საყოფაცხოვრებო წყალთან დაკავშირებით. ის მხოლოდ ზოგადად მიუთითებს, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისგან მიიღონ სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია (სახელმწიფო ან კომერციული საიდუმლოების გარდა) წყლის მდგომარეობის შესახებ.¹⁶³

159 „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 53, პუნქტი 2.

160 „წყლის რესურსების მართვის“ შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „უ“.

161 იქვე, მუხლი 14, პუნქტი 3.

162 იქვე, მუხლი 15, პუნქტები 5 და 6.

163 „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 13, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „ა“.

ინფორმირების ვალდებულების ნაწილში გარკვეულ მოთხოვნებს ადგენს **სასმელი წყლის მიწოდების/მოხმარების წესებიც**,¹⁶⁴ რომლებიც საკმაოდ ძველია (2008 წელი) , თუმცა სხვადასხვა ეტაპზე მასში აისახა ცვლილებებიც. წესები არეგულირებს ურთიერთობებს სასმელი წყლის მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის და სავალდებულოა ყველა იმ პირისთვის, რომელიც ახორციელებს მომხმარებელთა წყალმომარაგებას ან/და მოიხმარს სასმელ წყალს.¹⁶⁵ მიმწოდებელია ყველა სუბიექტი, რომელიც წყალმომარაგების შესაბამის ლიცენზიას ფლობს.¹⁶⁶ ამდენად, წესები ვრცელდება მხოლოდ ლიცენზირებულ სუბიექტებზე, რაც, ერთი მხრივ, ლოგიკურია, ვინაიდან, წყალმომარაგება ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქმიანობაა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ პრაქტიკაში წყალმომარაგებას არალიცენზირებული სუბიექტებიც ახორციელებენ (იხ. წინამდებარე ანგარიშის მე-7 თავი - „წყალმომარაგების სისტემა საქართველოში“).

წესები ადგენს,¹⁶⁷ რომ წყალმომარაგების ლიცენზიატი ვალდებულია, მომხმარებელს ან/და განმცხადებელს ტექსტური შეტყობინებით აცნობოს სხვადასხვა ინფორმაცია (შეწყვეტა/აღდგენა, გეგმური/არაგეგმური შეწყვეტის მიზეზი, დრო და ხანგრძლივობა). შეტყობინება მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ელექტრონული ფორმით, მომხმარებლის/განმცხადებლის მიერ მითითებულ ძირითად და ალტერნატიულ ნომრ(ებ)ზე ან/და ელექტრონულ მისამართ(ებ)ზე. სისტემაში სასმელი წყლის დაბინძურების ან დაბინძურების საშიშროების შემთხვევაში, მიმწოდებელმა ასევე უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის ინფორმირება.¹⁶⁸ ცალკეა გაწერილი ინფორმირების ვადები მომსახურების გეგმური/არაგეგმური შეწყვეტის დროს.¹⁶⁹

რაც შეეხება **საზოგადოების მონაწილეობას** სასმელ წყალთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში, ამ პრინციპის აღიარებას და შესაბამისი პროცედურების/გარანტიების განმტკიცებას არ ითვალისწინებს არც საქართველოს კანონები „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ და „წყლის შესახებ“, და არც სასმელი წყლის მიწოდების/მოხმარების წესები. ეს **მაშინ**, როდესაც საზოგადოების მონაწილეობა აუცილებელია ყველა დონეზე. მათ შორისაა გადაწყვეტილებათა მიღება სერვისის ტიპზე, ადგილმდებარეობასა და გაუმჯობესების გზებზე; კერძო სექტორის ჩართულობა და ჩართულობის ფორმების განსაზღვრა; წყალმომარაგების გათიშვისა და საგანგებო სიტუაციებში მომსახურების საკითხებზე. გარანტიების შემუშავებისას, უნდა შეისწავლონ მოქალაქეებისა და ჯგუფების საჭიროებები, ასევე, მონაწილეობის ბარიერები, სტანდარტები კი უნდა შეესაბამებოდეს

164 საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის #32 დადგენილება „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ 2008).

165 სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები, მუხლი 1, პუნქტები 1 და 2.

166 იქვე, მუხლი 1, პუნქტი 4¹.

167 იქვე.

168 იქვე, მუხლი 21, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ვ“; შეწყვეტის დროს ინფორმირებასთან დაკავშირებით ასევე იხ. მუხლი 14, ღია (საჯარო) ინფორმაციაზე - მუხლი 16.

169 იქვე, მუხლი 14, პუნქტები 1 და 1¹.

ადგილობრივ კონტექსტს. პროცედურული გარანტიები უნდა იყოს ცხადი და გამჭვირ-
ვალე, ხოლო მოქალაქეები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ მათ შესახებ (ვრცლად, იხ.
წინამდებარე ანგარიშის 5.3. ქვეთავი „საზოგადოების მონაწილეობა“).

6.4 წყლის ხარისხის კონტროლი და საზოგადოების ინფორმირება

როგორც აღინიშნა, წყლის უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია
წყლის ხარისხის კონტროლი. ახალი კანონი „წყლის რესურსების მართვის შესახებ“
განმარტავს, რომ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს სასმელი წყლის
ხარისხის სახელმწიფო კონტროლს და სასმელი წყლის ხარისხობრივ მდგომარეობაზე
მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდებას.¹⁷⁰

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საზო-
გადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს ან/და მის სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლება-
მოსილებებს შორისაა სასმელი წყლის უვნებლობის პარამეტრებისა და ხარისხის საქარ-
თველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლისა და
სასმელი წყლის გარე, შერჩევითი ლაბორატორიული კონტროლის განხორციელება.¹⁷¹

„სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონით,¹⁷² **სსიპ სურსათის
ეროვნული სააგენტო**, უვნებლობისა და ხარისხის სფეროში სახელმწიფო კონტროლის
განხორციელების მიზნით, იღებს ნიმუშებს და ატარებს გამოცდებს საგამოცდო ლაბო-
რატორიაში, ასევე, ამოწმებს დოკუმენტურ მასალებს.¹⁷³

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწო-
დებული განმარტებით,¹⁷⁴ სასმელი წყლის სახელმწიფო კონტროლი (ინსპექტირება,
მონიტორინგი, ზედამხედველობა, დოკუმენტური შემოწმება, ნიმუშის აღება) ხორციელ-
დება რისკზე დაფუძნებული სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შესაბამისად.
თავის მხრივ, ის ეფუძნება სხვადასხვა ფაქტორს, როგორიცაა, მაგალითად, სურსათის

170 „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 31, პუნქტი 3.

171 „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 34, პუნქტი „უ“.

172 „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის 3ა მუხლის მიხედვით, „სურსათი (ან
სასურსათო პროდუქტი) არის ადამიანის საკვებად განკუთვნილი ნებისმიერი პროდუქტი, გადამუშავებული ან
გადამუშავებელი. სურსათი მოიცავს ასევე ყველა სახის სასმელს, საღებრეზინს და ყოველ ნივთიერებას, დაფა-
სოებული და სურსათში გამოსაყენებელი წყლის ჩათვლით, რომელიც მიზანმიმართულად არის დამატებული
სურსათის შემადგენლობაში მისი წარმოებისა და გადამუშავების დროს.“ სურსათის/ცხოველის საკვების
უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის თანახმად, „სურსათი ასევე მოიცავს ყველა სახის
სასმელს (მათ შორის, სასმელ წყალს)“, მუხლი 2, პუნქტი „ა“.

173 „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 24, პუნქტი 1.

174 სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს 4.11.2024, #2024/6048 წერილი საქართველოს სახალხო დამცველის
აპარატს.

მიკრობიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური დაბინძურების შემთხვევები; გარემოს დაბინძურების შემთხვევები; წინა წლებში განხორციელებულ საქმიანობათა შედარებითი ანალიზი და სხვა.

ამავე სააგენტოს ცნობით,¹⁷⁵ 2020 წლიდან პრიორიტეტად განისაზღვრა წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემებით სასმელი წყლის მიმწოდებელთა (ლიცენზიატი/არალიცენზიატი ოპერატორები) სახელმწიფო კონტროლი წელიწადში ერთხელ, რისკის დონის განსაზღვრის გარეშე. მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს არსებული მდგომარეობით, ყველა მუნიციპალიტეტში არ არსებობს წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემა. ასეთ დასახლებებში მოსახლეობა იყენებს ბუნებრივ წყაროებს ან/და თვითმომარაგების ალტერნატიულ საშუალებებს, რაც კიდევ უფრო პრობლემურს ხდის ხარისხის შემოწმების საკითხს.

რაც შეეხება სინჯების აღებას - სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთ მექანიზმს, სააგენტო ასევე კონკრეტული კრიტერიუმების გათვალისწინებით ადგენს ყოველწლიურად სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევისთვის ასაღები სინჯების/ნიმუშების რაოდენობას. ესენია: სასმელი წყლის მიღებით გამოწვეულ დაავადებათა ალბათობა, მისი სიმძიმის გათვალისწინებით; წინა წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგების შეფასება; მოსახლეობაში სასმელი წყლით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების სპორადული შემთხვევები/ეპიდემიები.

საინტერესოა შესაბამისი მონაცემების შედარებაც. მაგალითად, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის პროგრამის თანახმად, 2024 წელს სულ აღებული იქნება სასმელი (მათ შორის, დაფასოებული) წყლის 850 ნიმუში/სინჯი;¹⁷⁶ 2022 წელს ეს რაოდენობა 470-ს შეადგენდა, 2023 წელს კი - 520-ს. ეს სტატისტიკა ცხადყოფს ნიმუშების/სინჯების მაჩვენებელთა ზრდას, თუმცა ამ მიმართულებით კონტროლი ყოველწლიურად ვერ ფარავდა/ფარავს ქვეყნის მთლიან მასშტაბს.

საგულისხმოა, რომ სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია 2019-2024 წლების სახელმწიფო კონტროლის შედეგები,¹⁷⁷ მათ შორის, მონიტორინგისაც, ექსელის ფორმატით, სადაც ასახულია სურსათის სხვადასხვა სახეობასთან დაკავშირებული მონაცემები. სასმელ წყალზე ინფორმაცია ცალკეა გამოყოფილი, თუმცა მონაცემები ასახავს ყველა მიმართულებას ერთად, იქნება ეს რომელიმე რეზერვუარიდან, სათავიდან, ეზოს ონკანიდან, საჯარო ბაღიდან თუ სხვა ადგილიდან აღებული სინჯების/ნიმუშების შედეგები. ამასთან, სასმელი წყლის ხარისხთან დაკავშირებული ინფორმაციის ამ ფორმით დამუშავება არ იძლევა რეგიონების/მუნიციპალიტეტების თუნდაც განზოგადებული სურათის დანახვის შესაძლებლობას, ჩატარებული მონიტორინგების შედეგების გათვალისწინებით.

175 იქვე.

176 სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2024 წლის პროგრამა, 2024, თავი III.

177 დოკუმენტები იხ. ბმულზე: <<https://nfa.gov.ge/Ge/StateControl>>.

დაინტერესებულ პირს უნდა შეეძლოს კონკრეტულად მისთვის სასურველი ინფორმაციის მარტივად მოძიება, როგორც წლების, ასევე სუბიექტებისა და რეგიონების/მუნიციპალიტეტების მიხედვით, რაც ამ დროისთვის შეუძლებელია განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე. საზოგადოების სათანადო ინფორმირებისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია, ერთ კონსოლიდირებულ ბაზაში/პლატფორმაზე აისახოს ის ინფორმაცია/მონაცემები, რომლებიც სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელმა ორგანომ უშუალოდ სასმელი წყლის ხარისხთან დაკავშირებით დაამუშავა სხვადასხვა მეთოდით.

მეორე მხრივ, როგორც არაერთხელ აღინიშნა, მხოლოდ ელექტრონული ფორმით ინფორმაციის გამოქვეყნება არ მიიჩნევა საზოგადოების სათანადო ინფორმირების გონივრულ და გამოსადეგ საშუალებად. ამდენად, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტებთან კოორდინირებული მუშაობა და, ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით (ენობრივი ბარიერები თუ სხვა საკითხები), ლოკალურად გამოსადეგი და ეფექტიანი საშუალებების გამოყენება. თავად სსიპ სურსათის სააგენტოს განმარტებით,¹⁷⁸ უწყება, ტექნიკურ რეგლამენტთან შეუსაბამობის შემთხვევაში, აცნობებს სასმელი წყლის მიმწოდებელ პასუხისმგებელ კომპანიას და აძლევს მითითებებს გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ. მათ შორისაა მოსახლეობის ინფორმირება, პრობლემის მოგვარებამდე მოსახლეობისთვის სასმელი წყლის ალტერნატიული წყაროებით მიწოდება, ალტერნატიული წყაროს არარსებობის შემთხვევაში კი ავტოციკლერებით ან/და სასაქონლო პროდუქციის სახით უზრუნველყოფა. სააგენტომ ასევე განმარტა, რომ თუ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სოფლის მცირემასშტაბიანი წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემებით მიწოდებულ წყლის სინჯებში შეუსაბამობას გამოავლენს, წერილობით აცნობებს მუნიციპალიტეტებს და, შეუსაბამობის ტიპის გათვალისწინებით, მისცემს რეკომენდაციებს მათ მიერ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. ყოველი მომდევნო წლის დასაწყისში რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულებს წერილობით ეცნობებათ სასმელ წყალთან დაკავშირებით ჩატარებული სახელმწიფო კონტროლის შედეგები. სააგენტო მხოლოდ იმ შემთხვევაში ახდენს საზოგადოების ინფორმირებას, როდესაც ლაბორატორიული გამოკვლევებით აღმოჩნდება ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული კონკრეტული მაჩვენებლების¹⁷⁹ შეუსაბამობა.¹⁸⁰

178 სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს 4.11.2024, #2024/6048 წერილი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს.

179 ეს მაჩვენებლებია: პათოგენური მიკროორგანიზმების, მათ შორის, Salmonella-სა და shigella-ს აღმოჩენა; დაფასოებულ წყალში Pseudomonas aeruginosa-ს აღმოჩენა; პარაზიტოლოგიური მაჩვენებლების (ლამბლიების ცისტები, დიზენტერიული ამებას ცისტები) აღმოჩენა; დარიშხანის (As, ჯამური), კადმიუმის (Cd, ჯამური), ტყვიის (Pb, ჯამური), ვერცხლისწყლის (Hg, არაორგანული), ქრომის (Cr6+), ციანიდების (CN-), სტიბიუმისა (Sb) და პესტიციდების საერთო შემცველობის მაჩვენებელთა დარღვევა; რადიაციული უსაფრთხოების მაჩვენებელთა დარღვევა.

180 სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს 4.11.2024, #2024/6048 წერილი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს.

როგორც სახალხო დამცველის აპარატის მიერ მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებულმა ვიზიტებმა გამოავლინა, წყლის ხარისხზე მოსახლეობაში ინფორმაციის არარსებობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ეს ცხადყოფს, რომ არსებული მექანიზმები და პრაქტიკა, ერთობლიობაში, ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების სათანადო ინფორმირებას ამ მიმართულებით¹⁸¹ და პრობლემის მოგვარება უფრო ეფექტიან, მოქნილ და შედეგზე ორიენტირებულ ძალისხმევას საჭიროებს.

რაც შეეხება თავად **ხარისხის სტანდარტებს**, საქართველოში მოქმედებს მთავრობის მიერ 2014 წელს დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი სასმელი წყლის შესახებ.¹⁸² როგორც „საკანონმდებლო მაცნიდან“ ირკვევა, რეგლამენტში, მიღების შემდგომ, არცერთი ცვლილება არ შესულა, რაც ეწინააღმდეგება **საერთაშორისო მითითებებს ხარისხის სტანდარტთა პროგრესულად გაუმჯობესების შესახებ**. მით უფრო, რომ როგორც აღინიშნა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმძღვანელო მითითებები სასმელი წყლის ხარისხის შესახებ, რომლებიც ქიმიურ და ბიოლოგიურ ნივთიერებათა რეკომენდებულ ლიმიტებს განსაზღვრავს, პერიოდულად ახლდება და ბოლო, 2022 წლის შესწორებებმა განაახლა და გააფართოვა ქიმიურ ნივთიერებათა ჩამონათვალიც.¹⁸³

ამდენად, მნიშვნელოვანია, გადაიხედოს მოქმედი ტექნიკური რეგლამენტი, გამოვლინდეს არსებული შეუსაბამობები, განახლებულ სახელმძღვანელოსთან ერთობლიობაში, და საჭიროებისას განახლდეს შესაბამისი მაჩვენებლები.

181 ვრცლად იხ. წინამდებარე ანგარიშის მე-8 თავი „სახალხო დამცველის მიერ საქართველოს რიგ მუნიციპალიტეტებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები“.

182 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #58 დადგენილება.

183 The World Health Organization's (WHO), იხ. ბმულზე: <<https://www.who.int/publications/i/item/9789240045064>>.

საქართველოში მოსახლეობას სასმელი/საყოფაცხოვრებო წყლით ამარაგებს რამდენიმე წამყვანი ლიცენზირებული კომპანია, სხვა არალიცენზირებულ სუბიექტებთან ერთად.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, წყალმომარაგება ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქმიანობაა.¹⁸⁴ ხოლო „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ლიცენზიას გასცემს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. მეტიც, ამავე კანონის მიხედვით, „აკრძალულია წყალმომარაგების განხორციელება კომისიის მიერ გაცემული მოქმედი ლიცენზიის გარეშე, რომელიც საწარმოს უფლებას ანიჭებს, განახორციელოს შესაბამისი საქმიანობა.“¹⁸⁵

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2023 წლის ანგარიშიდან დგინდება, რომ წყალმომარაგების სექტორში დღესდღეობით საქართველოში მხოლოდ 8 ლიცენზიატი კომპანია ოპერირებს.¹⁸⁶ ესენია: შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, შპს „ბათუმისწყალი“, შპს „ქობულეთის წყალი“, შპს „საჩხერის წყალკანალი“, შპს „სოგური“, შპს „მარნეულის სოფწყალი“, შპს „საგარეჯო“.

ამავე ანგარიშის თანახმად, მოსახლეობის 69%-ის (2,578,404 ადამიანი) წყალმომარაგებას უზრუნველყოფენ ლიცენზიატი კომპანიები, ხოლო 31%-ის (1,157,953 ადამიანი) წყალმომარაგება ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულთა ვალდებულებაა.¹⁸⁷

ამასთან, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილებით დამტკიცდა სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები,¹⁸⁸ რომლებიც წყალმომარაგების ლიცენზირებულ მიმწოდებელზე ვრცელდება.¹⁸⁹

184 „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6, პუნქტი 87.

185 „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 11, პუნქტები 1 და 2.

186 საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წლიური ანგარიში, 2023, გვ. 35, ბმული: <<https://gnerc.org/files/Annual%20Reports/Annual%20Report%20short%202023%20GEO.pdf>>.

187 იქვე.

188 საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის #32 დადგენილება.

189 სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები, მუხლი 1, პუნქტი 4¹: ამ წესების მიზნებისთვის, ტერმინები „მიმწოდებელი“ და „წყალმომარაგების ლიცენზიატი“ გულისხმობს ყველა იმ პირს, ვისაც მიღებული აქვს წყალმომარაგების ლიცენზია.

ქვეყანაში მოსახლეობის ნაწილის წყალმომარაგება ლიცენზირებულ სუბიექტთა მხრიდან და ნაწილის - არალიცენზირებული სუბიექტების მიერ, მომხმარებლებს არათანაბარ პირობებში აყენებს, რაც გავლენას ახდენს მათ უფლებრივ მდგომარეობაზეც.

კერძოდ, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია საზედამხედველო და მარეგულირებელ ფუნქციებს მხოლოდ ლიცენზიატთა მიმართ ახორციელებს.¹⁹⁰ წყალმომარაგების ლიცენზიატის ვალდებულებები კონკრეტულად არის გაწერილი კანონში.¹⁹¹ მათ შორისაა: ხარისხის მუდმივი კონტროლი, წყლის ობიექტის სათანადოდ დაცვა, ვალდებულებები გრაფიკის დროს, ინფორმაციაზე/დოკუმენტაციაზე წვდომის ვალდებულება, სახელმწიფო ორგანოებისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება და სხვა. კანონით ასევე დადგენილია შესაბამისი პასუხისმგებლობები და სანქციები.

აღნიშნული არ გამოიწვევს სხვადასხვა ვალდებულებების შეუსრულებლობას ლიცენზირებულ კომპანიათა მხრიდან,¹⁹² თუმცა, როდესაც ასეთი კონტროლისა და დაცვის გარანტიები არ არსებობს არალიცენზირებულ სუბიექტთა შემთხვევაში, გამოწვევები უფრო მწვავე და მასშტაბურია.

მიუხედავად იმისა, რომ **ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის** თანახმად, მუნიციპალიტეტმა სასმელი წყლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს **ლიცენზიატი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებით** (იმ დასახლებებში, სადაც სასმელი წყლის მიწოდებას და წყალარინების მომსახურებას შესაბამისი ლიცენზიატი მიმწოდებელი არ ახორციელებს),¹⁹³ პრაქტიკაში ეს დანაწესი ყველა მუნიციპალიტეტში არ სრულდება და წყალმომარაგებას არაუფლებამოსილი (არალიცენზირებული) სუბიექტებიც უზრუნველყოფენ.

საგულისხმოა, რომ სახელმწიფო აუდიტის უკანასკნელი (2020-2021) შემაჯამებელი ანგარიშის¹⁹⁴ თანახმად, 20 მუნიციპალიტეტში ჩატარებულმა აუდიტმა ცხადყო, რომ თვითმმართველ ერთეულებში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგებასთან დაკავშირებული

190 „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 29, პუნქტი 1; მუხლი 30.

191 იქვე, მუხლი 145, პუნქტი 2; ასევე, მუხლები 150, 152-153.

192 იხ. 2017-2023 წლის სტატისტიკა, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წლიური ანგარიში, 2023, 45-ე გვერდიდან, იხ. ბმული: <https://gnerc.org/files/Annual%20Reports/Annual%20Report%20short%202023%20GEO.pdf>.

193 საქართველოს თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 163, ნაწილები 1-3; იქვე: მუნიციპალიტეტს, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასა და მიმწოდებელ კერძო სამართლის სუბიექტებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება შესაბამისი საკანონმდებლო აქტით. ამ აქტს ამზადებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს მთავრობა.

194 სახელმწიფო აუდიტის სამსახური ორ წელიწადში ერთხელ ამზადებს და წარუდგენს პარლამენტს მუნიციპალიტეტთა ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებაზე ჩატარებულ აუდიტთა შემაჯამებელ ანგარიშებს, იხ. ბმული: <https://shorturl.at/GdhzS>.

მნიშვნელოვანი პრობლემები.¹⁹⁵ მათ შორისაა: საბიუჯეტო რესურსების სიმცირე; ქმედითი ღონისძიებების გაუტარებლობა თავად თვითმმართველობის მხრიდან; უმეტეს შემთხვევაში, წყლის **ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მაჩვენებლებთან შესაბამისობის გაუკონტროლებლობა**; რიგ შემთხვევებში, შემოწმებისას გამოვლენილი შეუსაბამობები; **პროექტთა დროულად ან/და ხარისხიანად შეუსრულებლობა**; აბონენტთა **გამრიცხველიანების გარეშე**, არათანაბარი განაწილება და წყლის დეფიციტის გამოწვევა.

195 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2020-2021 წლების შემაჯამებელი ანგარიში, გვ. 11-13.



სახალხო დამცველის მიერ საქართველოს რიგ მუნიციპალიტეტებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები

წყალზე უფლების რეალიზაციის შეფასებისას, სახალხო დამცველისთვის მნიშვნელოვანი იყო ადგილზე არსებული ვითარების გაცნობა. ამ მიზნით, მისმა წარმომადგენლებმა ვიზიტები განახორციელეს საქართველოს 5 რეგიონში¹⁹⁶ და 15 მუნიციპალიტეტის 35 სოფელში.¹⁹⁷ მათ შორის, იყო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლები, ასევე, საოკუპაციო ხაზთან მდებარე დასახლებები. აპარატის წარმომადგენლები, წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიისა და კითხვარის საფუძველზე, გაესაუბრნენ ადგილობრივ მოსახლეობასაც. რიგ შემთხვევებში, მათ დაათვალიერეს წყალმომარაგების ობიექტები, გაზომეს მანძილები დასახლებულ პუნქტებსა და საუბნო წყაროებს/ონკანებს/ჭებს შორის. შეხვედრები წარიმართა ადგილობრივი მოსახლეობის ყველა ჯგუფის მაქსიმალური ჩართულობით, ქალების, ხანდაზმულებისა და, რიგ შემთხვევებში, ბავშვების ჩათვლით.

გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით გამოითხოვა ინფორმაცია იმ მუნიციპალიტეტებისგან, სადაც ვიზიტები განხორციელდა. ზოგიერთმა მუნიციპალიტეტმა აპარატს არ მოაწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია,¹⁹⁸ ან საპასუხო კორესპონდენცია არასრულყოფილი იყო,¹⁹⁹ ზოგ შემთხვევაში კი მუნიციპალიტეტისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოწოდებული ინფორმაცია განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.²⁰⁰ მიღებული კორესპონდენციებიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ

¹⁹⁶ მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი.

¹⁹⁷ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: მისაქციელი, ნავაზი და აღდგომელანთკარი; დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: ებნისი, მჭადიჯვარი, მიქელიანი და ციხისუბანი; გორის მუნიციპალიტეტის სოფლები: ახალუბანი და აძვი; ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლები: ღოღეთი (მდებარეობს საოკუპაციო ხაზთან) და თამარაშენი (მდებარეობს საოკუპაციო ხაზთან); ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩორჩანა (მდებარეობს საოკუპაციო ხაზთან); თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდის დევნილთა დასახლება და სოფელი ჯორჯიაშვილი; მარნეულის მუნიციპალიტეტის ჯანდარის დასახლება და სოფელი ზვარეთი; ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი პატარა არაქალი; ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლები: სულდა და ოკამი; ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლები: მუგარეთი, ბოგა და ჯულდა; ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლები: ლარები, წაღვერი და ყვიბისი; გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლები: კაჭრეთი, დარჩიეთი, ჯიშითი და ნანიანი. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლები: ზემო ქედი და ქვემო ქედი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლები: ქეშალო და კაზლარი; გარდაბნის მუნიციპალიტეტის ვაზიანის დასახლება და სოფელი ახალი კუმისი.

¹⁹⁸ ხაშურისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტები.

¹⁹⁹ გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 7 ოქტომბრის N20-2024281344, ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 9 ოქტომბრის N104-1042428313 და 2024 წლის 10 ოქტომბრის N104-104242849, ასევე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 29 ოქტომბრის N18-1824303129 წერილები.

²⁰⁰ გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 7 ოქტომბრის N20-2024281344, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 16 ოქტომბრის N132-13224290103, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 26 სექტემბრის N124-1242427065, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 29 ოქტომბრის N18-1824303129, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 24 სექტემბრის N122-1222426834 და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 11 ნოემბრის N52-522431676 წერილები.

თავად მუნიციპალიტეტების ცნობიერება წყლის უფლებრივ საკითხებთან დაკავშირებით ძალიან მწირი და ზოგადია.

მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში მეტ-ნაკლებად განსხვავებული სურათის მიუხედავად, ბევრი პრობლემა მათ საერთო აქვთ. წყალმომარაგების სისტემა არაერთგვაროვანია. მაგალითად, ზოგიერთი სოფლის მოსახლეობას წყალი მიეწოდება საცხოვრებელ სახლებში²⁰¹ (რაც აუცილებლად არ გულისხმობს ცენტრალური მოწესრიგებით მიწოდებას, ზოგიერთ სოფელში მოსახლეობა საკუთარი სახსრებით ახორციელებს ქსელზე დაერთების სამუშაოებს), სოფლების ნაწილში კი მხოლოდ საუბნო წყაროებიდან/ონკანებიდან/ჭებიდან უხდებათ წყლის მომარაგება.²⁰² მუნიციპალიტეტების/სოფლების მხოლოდ მცირე რაოდენობას²⁰³ აწვდის წყალს ლიცენზიატი კომპანია, ხოლო იმ დასახლებათა უმრავლესობაში, სადაც აპარატმა შემოწმება ჩაატარა, მოსახლეობას არალიცენზიატი მიმწოდებელი ამარაგებს. უნდა აღინიშნოს, რომ წყლის საცხოვრებელ სახლებში მიწოდება არ არის წყალზე უფლების სრულყოფილად რეალიზაციის გარანტი და არაერთი გამოწვევა ამ მიმართულებითაც გამოიკვეთა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფლები, სადაც დაქსელვა კი განხორციელდა, თუმცა მოსახლეობას წყალი თვეების განმავლობაში ან საერთოდ არ მიეწოდება (მაგ: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი კაზლარი და დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ებნისი).

ადგილზე ვიზიტებით პრობლემები გამოვლინდა წყალზე უფლების თითქმის ყველა კრიტერიუმთან დაკავშირებით. მათ შორის განსაკუთრებულად მწვავეა: **არასაკმარისი ოდენობის წყალზე წვდომა; განსხვავებული ოდენობის წყალზე წვდომა, როგორც სხვადასხვა, ასევე ერთ დასახლებაში; დიდი მანძილი საცხოვრებელ სახლსა და საუბნო წყაროს/ონკანს/ჭას შორის; მისასვლელად გაუმართავი საგზაო ინფრასტრუქტურა; დაუცველი ჯგუფების ინტერესთა გაუთვალისწინებლობა; ალტერნატიული მომარაგება საკუთარი ხარჯებითა და ძალისხმევით; წყლის მიუღებელი ფერი/გემო/სუნი.** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის აპარატი მოკლებულია შესაძლებლობას,

201 მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: მისაქციელი ნავაზი აღდგომელანთკარი; გორის მუნიციპალიტეტის სოფლები: ახალუბანი და აძვი; ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ღოღეთი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი კაზლარი (ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული); გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლები: კაჭრეთი, ჯიბითი და ნანიანი; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლები: ზემო ქედი და ქვემო ქედი; ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი პატარა არაქალი; ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლები: სულდა და ოკამი; ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლები: მუგარეთი, ბოგა და ჯულდა; ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლები: წადვერი, ლარები და ყვიბისი; თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელი კოდის დევნილთა დასახლება და სოფელი ჯორჯიაშვილი; მარნეულის ჯანდარის დასახლება; დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: ებნისი და მჭადიჯვარი; გარდაბნის მუნიციპალიტეტის ვაზიანის დასახლება.

202 ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩორჩანა (მდებარეობს საოკუპაციო ხაზთან); ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი თამარაშენი (მდებარეობს საოკუპაციო ხაზთან); საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი ქეშალო (ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული). ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელი ზვარეთი; დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: მიქელიანი და ციხისუბანი.

203 დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლები: ზემო ქედი და ქვემო ქედი; ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელი ოკამი.

თავად შეაფასოს წყლის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი - ხარისხი/უსაფრთხოება. თუმცა, წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, ვიზიტების ერთ-ერთ მთავარი საკითხი იყო ის, თუ რამდენად ჰქონდათ ინფორმაცია მოქალაქეებს წყლის ხარისხის მდგომარეობაზე, რაც თითქმის ყველა შემთხვევაში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად გამოიკვეთა. ამასთან, მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვილმა ინფორმაციამ ცხადყო, რომ პრობლემური საკითხია არა მხოლოდ მოქალაქეთა სასმელი წყლის ხარისხზე ინფორმირება, არამედ თავად ხარისხის მონიტორინგი/კონტროლიც. ნაკლები ინფორმირებულობა გამოვლინდა სხვა მიმართულებებითაც: მაგალითად, თბილისისგან განსხვავებით, მოსახლეობას წინასწარ არ ეცნობება წყლის მოსალოდნელი შეწყვეტის შესახებ²⁰⁴ და ინფორმაცია სამუშაოების ხანგრძლივობასა თუ აღდგენის სავარაუდო დროზე ზეპირად მიეწოდება. ამასთან, პრაქტიკულად უგულებელყოფილია საზოგადოების მონაწილეობის პრინციპი. გამოწვევების ერთობლიობაში განხილვა ცხადყოფს არათანაბარ უფლებრივ მდგომარეობას არათუ სოფლად და ქალაქად მცხოვრებ მოქალაქეებს შორის, არამედ თავად სოფლებისა და, ზოგ შემთხვევაში, ერთ სოფლის მცხოვრებთა შორისაც, რაც განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით (მაგ: რელიეფი, მოქალაქის საცხოვრებელი სახლის გეოგრაფიული მდებარეობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ამით განპირობებული განსხვავებული ინდივიდუალური შესაძლებლობები).

საკმარისობა და თანაბარი წვდომა

მოსახლეობასთან შეხვედრებმა გამოავლინა, რომ სოფლების უმეტესობაში გამოწვევაა საკმარისი წყლით მომარაგება. იმ სოფლებში, სადაც მოსახლეობას წყალი საცხოვრებელ სახლებში მიეწოდება, საკმარისი წყლით მომარაგებას ხელს უშლის რელიეფი, ერთი სისტემით/მილით რამდენიმე სოფლის მომარაგება, ან მოსახლეობის მიერ სასმელი წყლის არამიზნობრივი გამოყენება. ამასთან, მდგომარეობა განსხვავდება სეზონების მიხედვითაც. მაგალითად, მოსახლეობის ინფორმაციით, ზაფხულში წყლის მარაგი იკლებს და ის თითქმის არ მიეწოდება დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ებნისს. გაზრდილი მოხმარების გამო, მარაგი ნაკლებია მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლებშიც: მისაქციელი, აღდგომელაანთკარი, ნავაზი და სხვა.²⁰⁵ სოფელ ებნისს ზამთარშიც არ მიეწოდება წყალი. ზამთრის განმავლობაში წყლის მარაგი ასევე იკლებს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ სულდაში, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუგარეთსა და სხვა დასახლებებში.²⁰⁶ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა არაქალში,

204 მაგალითად, გამონაკლისია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლები: ზემო ქედი და ქვემო ქედი.

205 გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლები: ჯიშითი და ნანიაწი; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფლები: ქვემო ქედი და ზემო ქედი; ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელი მუგარეთი; ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელი ყვინისი; თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდის დევნილთა დასახლება; დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: ებნისი, მიქელიანი და მჭადიჯვარი.

206 ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელი ლარები; დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ციხისუბანი.

თეორიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯორჯიაშვილსა და სხვა სოფლებში²⁰⁷ შემალ-
ლებულ ადგილებზე მცხოვრებ მოსახლეობამდე საკმარისად ვერ აღწევს წყლის ნაკადი.
ზოგან მიღებია დაზიანებული, რომლებიც არ შეკეთებულა, და ოჯახების ნაწილს ამის გამო
არ მიეწოდება წყალი.²⁰⁸ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ლოლეთსა და გურჯაანის
მუნიციპალიტეტის სოფლებში - კაჭრეთი, ჯიმიოთი და ნანიანი - აღნიშნულ პრობლემებს
ემატება სასმელი წყლის სარწყავი ან სხვა მიზნებით გამოყენება,²⁰⁹ ყოველივე ეს კი ხელს
უშლის მოსახლეობის უზრუნველყოფას საკმარისი ოდენობის წყლით.

წყალმომარაგება მხოლოდ რელიეფზე არ არის დამოკიდებული: მარნეულის მუნიციპა-
ლიტეტის ჯანდარის დასახლებაში, რომელიც ქალაქის ნაწილია, უბნებს განსხვავებული
ნაკადით მიეწოდებათ წყალი. საკმარისი წყლით მომარაგების დამაბრკოლებელ გარე-
მოებად ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაც დასახელდა იმ სოფლებში,
სადაც არალიცენზიანი მიმწოდებელი ოპერირებს. კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის
სოფლებში, ახალუბანსა და აძვში, და დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მიქელიანში
მცხოვრები ოჯახების ნაწილი ვერ ახერხებს საკუთარი სახსრებით დაერთებას ქსელზე.
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან საუბრისას, მცხეთის
მუნიციპალიტეტის სოფლებში, მისაქციელში, ნავაზსა და აღდგომელაანთკარში, და გორის
მუნიციპალიტეტის სოფლებში, ახალუბანსა და აძვში, მოსახლეობამ განაცხადა, რომ
რამდენიმე სოფელი ერთი ქსელით მარაგდება, რაც, აბრკოლებს სასმელი წყლით საკმარის
მომარაგებას. თუმცა, თავად გორის მუნიციპალიტეტის მერიამ საქართველოს სახალხო
დამცველის აპარატს განსხვავებული ინფორმაცია მიაწოდა და აცნობა, რომ ახალუბანი და
აძვი დამოუკიდებელი ქსელებით მარაგდებიან.²¹⁰ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ
ახალი კუმისის მოსახლეობა კი, საცხოვრებელ სახლებში წყლის მიუწოდებლობისა და
საუბნო წყაროების/ონკანების/ჭების არარსებობის გამო, იძულებულია, კერძო კომპანი-
ისგან შეიძინოს წყალი.

როგორც აღინიშნა, არის სოფლები, სადაც მოსახლეობას სასმელი წყალი ამ დრომდე არ
მიეწოდება საცხოვრებელ სახლებში. საკმარისი წყლით მომარაგების პრობლემა, ცხადია,
ასეთ დასახლებებშიც დგას, რასაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, მაგალითად: წყლის
მარაგის ნაკლებობა ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეთში; ტრანსპორტირების
პრობლემა (ზოგჯერ, როდესაც დიდი რაოდენობით საჭიროებენ წყლის მარაგის შევსებას),

207 მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: მისაქციელი, ნავაზი და აღდგომელაანთკარი; გორის მუნიციპალიტეტის
სოფლები: ახალუბანი და აძვი; დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: მიქელიანი (თავად მოსახლეობამ ვერ
მოახერხა მიღების შეყვანა შემალლებულ ადგილზე ცხოვრების გამო, ერთიანი მომარაგების სისტემა სოფელში
არ არის) და ციხისუბანი.

208 დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი მჭადიჯვარი.

209 მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: მისაქციელი, ნავაზი და აღდგომელაანთკარი; გორის მუნიციპალიტეტის
სოფლები: ახალუბანი და აძვი; ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი პატარა არაქალი; ახალქალაქის მუნიცი-
პალიტეტის სოფელი სულდა; ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელი მუგარეთი; ბორჯომის მუნიციპალიტეტის
სოფელი ყვიბისი; დუშეთის მუნიციპალიტეტი სოფლები: მჭადიჯვარი, ციხისუბანი და მიქელიანი.

210 გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 7 ოქტომბრის N20-2024281344 წერილი.

რელიეფი, მისასვლელი გზა, პირის გადაადგილების შესაძლებლობები და ა.შ. - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ებნისში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, ქეშალოსა და კაზლარში, და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდის დევნილთა დასახლებაში.

იმის გამო, რომ მოსახლეობა ვერ ახერხებს საკმარისი წყლის მომარაგებას, მაგალითად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქეშალოში, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მჭადიჯვარში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეთსა და სხვაგან²¹¹ ადგილობრივები ტექნიკური საჭიროებებისთვის წვიმის წყალს აგროვებენ. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა არაქალში, მოსახლეობის თქმით, პირდაპირ მდინარის წყალს იყენებენ, ხოლო ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელი ლარებში თოვლიც გამოუყენებიათ.

ცალკე უნდა აღინიშნოს საოკუპაციო ხაზთან მდებარე, კერძოდ, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლები, თამარაშენი და ღოღეთი, სადაც, მოსახლეობის განმარტებით, გადაადგილებისას თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ.

წყალზე თანაბარი წვდომა გამოწვევაა იმ სოფლებშიც, სადაც მოსახლეობას საცხოვრებელ სახლებში არ მიეწოდება წყალი. ასეთ ადგილებში წყალმომარაგების განსხვავებული გზების გათვალისწინებით, მოქალაქეებს განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდებათ წყლის შესაგროვებლად. განსხვავდება მათი ინდივიდუალური შესაძლებლობები და ბარიერებიც: მაგალითად, დიდ როლს თამაშობს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახის წევრთა რაოდენობა, ტრანსპორტირების შესაძლებლობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ა. შ.

► **წყვეტომა**

განხორციელებული ვიზიტებიდან ირკვევა, რომ წყლით უწყვეტად მომარაგება ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. მხოლოდ სოფლების მცირე ნაწილია უზრუნველყოფილი 24-საათიანი მიწოდებით (მაგ: გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი დარჩიეთი; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლები, ზემო ქედი და ქვემო ქედი; და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელი ოკამი). გამოწვევისაა ზაფხულის სეზონი.²¹² სხვაგან, მაგალითად, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ჯიმიტსა და კაჭრეთში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ სულდაში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდის დევნილთა დასახლებასა და სოფელ ჯორჯიაშვილში, ასევე, სხვა დასახ-

211 დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: ციხისუბანი, ებნისი და მიქელიანი; გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი ნანია; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელი ქვემო ქედი; ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი პატარა არაქალი;

212 ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელი ყვიბისი; ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლები: ჯულა და ბოგა.

ლებებში,²¹³ მოსახლეობას წყალი გრაფიკით მიეწოდება, თუმცა ზოგან ფიქსირებული გრაფიკიც არ არსებობს.²¹⁴ გრაფიკი განსხვავდება სოფლების მიხედვით, თუმცა ერთსა და იმავე სოფელშიც გამოიკვეთა წყლის განსხვავებული გრაფიკითა და ნაკადით მიწოდება,²¹⁵ რაც მოსახლეობაში დამატებით უკმაყოფილებას იწვევს.

თავის მხრივ, გრაფიკი დამოკიდებულია წყლის დებეტზე, სოფლის რელიეფსა და წყალ-გაყვანილობის სისტემის მდგომარეობაზე. მაგალითად, ადგილობრივთა ინფორმაციით: მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში, მისაქციელში, ნავაზსა და აღდგომელანთკარში, წყალი, გრაფიკის მიხედვით, ღამის 12-დან დღის 12 საათამდეა; ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ღოღეთში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯორჯიაშვილსა და სხვა სოფლებში - დღეგამოშვებით, მხოლოდ 2 საათით;²¹⁶ ხოლო თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდის დევნილთა დასახლებაში - ყოველდღიურად 5 საათით. დღეგამოშვებით 5 საათით მოდის წყალი გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთში. მარნეულის მუნიციპალიტეტის ჯანდარის დასახლებაში, მოსახლეობის განმარტებით, წყალი კვირაში, დაახლოებით, ორჯერ, 2 საათით მიეწოდებათ, ხოლო გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ნანიანში - კვირაში ერთხელ, რამდენიმე საათით. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ სულდის მოსახლეობის თქმით კი წყალი ზაფხულში, ყოველდღიურად, 1-2 საათით აქვთ.



**ახალქალაქის მუნიციპალიტეტი,
სოფელი სულდა.**

213 მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: მისაქციელი, ნავაზი და აღდგომელანთკარი; გორის მუნიციპალიტეტის სოფლები: ახალუბანი და აძვი; ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ღოღეთი; ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი პატარა არაქალი; მარნეულის მუნიციპალიტეტის ჯანდარის დასახლება; გარდაბნის მუნიციპალიტეტის ვაზიანის დასახლება.

214 დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: მჭადიჯვარი, მიქელიანი და ციხისუბანი.

215 გორის მუნიციპალიტეტის სოფლები: ახალუბანი და აძვი; ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ღოღეთი; ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი პატარა არაქალი; გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი კაჭრეთი.

216 გორის მუნიციპალიტეტის სოფლები: ახალუბანი და აძვი.

საყურადღებოა თავად მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციებიც გრაფიკთან დაკავშირებით: მაგალითად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა ვიზიტისას, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯორჯიაშვილში მოსახლეობა აცხადებდა, რომ იმ მომენტისთვის წყალი არ მიეწოდებოდათ, ხოლო გრაფიკი ითვალისწინებდა წყლის დღეგამოშვებით მიწოდებას, 2 საათით. თავად მუნიციპალიტეტმა კი განმარტა, რომ სოფელს წყალი დღის განმავლობაში უწყვეტად ჰქონდა.²¹⁷ მოსახლეობის ინფორმაციით, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა არაქალში დღის განმავლობაში წყალი ნახევარი საათით მიეწოდებოდა. საგულისხმოა, რომ თავად მუნიციპალიტეტმა აღნიშნული არ დაადასტურა და გვაცნობა, რომ გრაფიკი ითვალისწინებს წყლის მიწოდებას დილიდან 12-15 საათის განმავლობაში.²¹⁸ ცალკე აღსანიშნავია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაზლარში არსებული მდგომარეობა: ადგილობრივთა ინფორმაციით, წყლის გაყვანილობის სისტემა სოფელში არსებობს, თუმცა ვერ პასუხობს მათ საჭიროებებს: მაგალითად, შესაძლოა, წყალი 2 თვე არ მიეწოდებოდეთ, ზოგჯერ კი დღის განმავლობაში მხოლოდ ნახევარი ან ერთი საათით მიაწოდონ. რადიკალურად განსხვავებული ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ: უწყების ინფორმაციით, კაზლარში 24-საათიანი წყალმომარაგებაა.²¹⁹



**გარდაბნის მუნიციპალიტეტი,
სოფელი ახალი კუჩისი.**



**გარდაბნის მუნიციპალიტეტი,
ვაზიანის დასახლება.**

217 თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 26 სექტემბრის N124-1242427065 წერილი.

218 ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 24 სექტემბრის N122-1222426834 წერილი.

219 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 11 ნოემბრის N52-522431676 წერილი.



**ბორჯომის მუნიციპალიტეტი,
სოფელი წაღვარი.**

სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაციით დადგენილი გრაფიკები ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად უწყვეტობის სტანდარტისთვის, ვინაიდან კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მთავარი კომპონენტი - საკმარისობა: კერძოდ, რამდენად ახერხებენ მოქალაქეები, შეაგროვონ პირადი და საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის საჭირო თუნდაც მინიმალური ოდენობის წყალი. აღნიშნული კვლავ დამოკიდებულია ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და სამარაგო ჭურჭელზე. იმ შემთხვევებში კი, როცა დებეტის სიმცირე იკვეთება, ობიექტურად შეუძლებელია თუნდაც მათ ხელთ არსებული ჭურჭლის შევსება. შეხვედრის ფარგლებში გურჯაანისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტთა რამდენიმე სოფლის მოსახლეობამ აღნიშნა, რომ მიმდინარეობდა გამრიცხველიანების ან/და 24-საათიანი წყალმომარაგების სამუშაოები.²²⁰ ბორჯომის, ქარელის, თეთრიწყაროსა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებმა წერილობით აცნობეს აპარატს, რომ იგეგმებოდა სამუშაოები მოსახლეობის წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად, ასევე, გამრიცხველიანებისათვის ან/და 24-საათიანი წყლით უზრუნველსაყოფად.²²¹

დადგენილი გრაფიკის გარდა, წყლის მიწოდება წყდება სხვადასხვა მიზეზის, მათ შორის, დაზიანების გამოც. გამოვლინდა, რომ წყალი ხშირად წყდებოდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ლარებსა (კვირაში ერთხელ) და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდის დევნილთა დასახლებაში (თვეში ერთხელ).

220 გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლები: კაჭრეთი, ნანინი და ჯიმიტი; ახალქალაქის მუნიციპალიტეტი სოფელი სულდა.

221 ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 30 ოქტომბრის N16-1624304184 და ა(ა)იპ „ბორჯომის სოფლის წყლის“ 2024 წლის 22 ოქტომბრის N13-1624296243 წერილები; ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 9 ოქტომბრის N104-1042428313 და 2024 წლის 10 ოქტომბრის N104-104242849 წერილები; ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 1 ნოემბრის N116-1162430637, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 26 სექტემბრის N124-1242427065 და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 29 ოქტომბრის N18-1824303129 წერილები; მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 24 ოქტომბრის N34-342429815 და შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანიის“ 2024 წლის 26 სექტემბრის N504 წერილები.

დაზიანებისა და სხვა მიზეზების გამო, წყალი უფრო ხანგრძლივად წყდება ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეთში (მოსახლეობის განმარტებით, საუბნო ონკანებში შეიძლება 15-20 დღეც არ მოდიოდეს), თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯორჯი-აშვილსა (მაგალითად, 4 დღე) და სხვა სოფლებში,²²² რაც დამატებითი ხელშემშლელი გარემოებაა უფლების რეალიზაციისას, მით უფრო, რომ ასეთ დროს ნაკლებად ხდება მათი წინასწარი ინფორმირება ან/და ალტერნატიული გზებით მომარაგება.

უწყვეტობის პრობლემები აქტუალურია სოფლებში, რომელთა მოსახლეობასაც წყლის მარაგის შევსება სხვადასხვა გზით უწევს: მაგალითად, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანაში, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ თამარაშენში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქეშალოსა და სხვაგან²²³ მოსახლეობა საუბნო წყაროებიდან/ონკანებიდან/ჭებიდან აგროვებს წყალს. აღნიშნული განსაკუთრებით უარყოფითად აისახება ხანდაზმულ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, რომელთაც ფიზიკურად უჭირთ წყლის შეგროვება და გადაადგილება. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქეშალოსა და კაზლარის მოსახლეობის განმარტებით, ეს უარყოფითი გავლენას ახდენს იმ ოჯახებზეც, რომლებიც არ ფლობენ სატრანსპორტო საშუალებებს შორ მანძილზე გადასადგილებლად და წყლის შესაგროვებლად. დამატებითი ხარჯების გაწევა და წყლის შეძენა უწევს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლების, ყვიბისისა და წალვერის, და სხვა სოფლების²²⁴ მოსახლეობას.

❖ ფიზიკური ხელმისაწვდომობა

ფიზიკური ხელმისაწვდომობის პრობლემები გამოვლინდა როგორც ისეთ სოფლებში, სადაც მოსახლეობას წყალი საცხოვრებელ სახლებში მიეწოდება, ისე ამგვარი სისტემის არმქონე სოფლებში. როდესაც გრაფიკი ვერ უზრუნველყოფს უწყვეტ მომარაგებას, მოსახლეობა იძულებულია, ალტერნატიული გზებით შეივსოს წყალი, ხოლო სადაც წყალი საცხოვრებელ სახლებში არ მიეწოდება, ადამიანები ისედაც სხვა გზებით იმარაგებენ წყალს.

222 მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: მისაქციელი, ნავაზი და აღდგომელანთკარი (მაგალითად, სამივე სოფელს 2 კვირის განმავლობაში არ მიეწოდებოდა წყალი); გორის მუნიციპალიტეტის სოფლები: ახალუბანი და აძვი (1 კვირა იყვნენ უწყლოდ); გარდაბნის მუნიციპალიტეტის ვაზიანის დასახლება (საუბნო ონკანებში, ყველაზე ხანგრძლივად, 2 კვირით შეწყდა წყლის მიწოდება).

223 ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელი ზვარეთი; დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: მიქელიანი და ციხისუბანი.

224 მარნეულის მუნიციპალიტეტის ჯანდარის დასახლება; ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელი ზვარეთი.



დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი აბნისი.

ფიზიკური მისაწვდომობის პრობლემები სხვადასხვა სახით ვლინდება. მათ შორისაა: გაუმართავი გზა და ინფრასტრუქტურა, მანძილი საცხოვრებელ სახლსა და საუბნო წყაროს/ონკანს/ჭას შორის, ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ა.შ. საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების მცხოვრებნი უსაფრთხოების პრობლემებსაც აწყდებიან: მაგალითად, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ თამარაშენის მკვიდრთა განმარტებით, სოფლის ტერიტორიაზე გადაადგილების, მათ შორის, წყლის შეგროვების დროს, თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ.

უმეტეს შემთხვევაში, საცხოვრებელ სახლებსა და საუბნო წყაროს/ონკანს/ჭას შორის დაშორება 1 კილომეტრამდეა, თუმცა გაუმართავი ინფრასტრუქტურის/გზის ან/და წყლის მცირე დებეტის გამო, მოსახლეობას უფრო მეტი დრო სჭირდება წყლის შესაგროვებლად, ვიდრე გათვალისწინებულია შესაბამისი სტანდარტით. მაგალითად, ასეთი დასახლებები დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ებნისი და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელი სულდა. თუმცა არის სოფლები, სადაც საცხოვრებელ სახლსა და საუბნო წყაროს/ონკანს/ჭას შორის მანძილი აღემატება 1 კილომეტრს და 3 კმ-მდეც აღწევს. ასეთია, მაგალითად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ვაზიანის დასახლება და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლები, კაზლარი და ქეშალო. გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ახალუბანსა და აძვში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯორჯიაშვილში და სხვაგან²²⁵ მეზობელი სოფლებიდანაც იმარაგებენ წყალს. ცხადია, ასეთ დროს ფიზიკური ხელმისაწვდომობის სტანდარტი ვერ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, განსაკუთრებით იმ პირებთან მიმართებით, რომელთაც ფიზიკური გადაადგილების პრობლემები აქვთ.

225 დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ებნისი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი კაზლარი.



**ასალციის მუნიციპალიტეტი,
სოფალი მუხარათი.**

► **ეკონომიკური ხელმისაწვდომობა და მდგრადობა**

ეკონომიკური ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი ყველაზე რთულად შესაფასებელი სტანდარტია, ვინაიდან უკავშირდება მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის რეალურ გამოკვლევას, რაც მსგავსი ვიზიტების ფარგლებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია. თუმცა უნდა აღინიშნოს ერთი რამ: მართალია, უმეტესწილად სოფლებში არ არის დაწესებული წყლის გადასახადი და, გადაუხდელობის შემთხვევებში, მასზე უფლების ხელყოფის საფრთხეც არ დგება, მოსახლეობა განმარტავს, რომ სხვადასხვა ხარჯის გაღება უწევს ამ რესურსის მომარაგებისთვის. მათ შორისაა ტრანსპორტირების, წყლის შეძენისა და, ზოგ შემთხვევაში, ქსელზე დაერთების ხარჯები, რაც, სტანდარტების მიხედვით, ასევე ეკონომიკური ხელმისაწვდომობის ნაწილია და სრულფასოვან შესწავლა-შეფასებას მოითხოვს მუნიციპალიტეტების მხრიდან. საჭიროების შემთხვევაში, შეფასებას შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაც უნდა მოჰყვეს.

მეორე მხრივ, უმრავლეს სოფლებში²²⁶ გამრიცხველიანების არარსებობა კითხვებს აჩენს წყლის რესურსების ჯეროვან გამოყენებასთან მიმართებით, ვინაიდან წყალი, როგორც ამოწურვადი რესურსი, ამ კრიტერიუმითაც უნდა იმართებოდეს; მით უფრო, რომ როგორც ცალკეულ სოფლებში ვიზიტებმა ცხადყო, გამრიცხველიანებისა და სარწყავი სისტემების არარსებობა ან/და წყალზე არათანაბარი წვდომა არაერთ სოფელში (მაგ. დუშეთის

²²⁶ მაგალითად, გამონაკლისია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლები, ზემო ქედი და ქვემო ქედი, ასევე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ჯანდარის დასახლება, რომელიც გამრიცხველიანებულია და მოსახლეობა გადასახადს დანახარჯის მიხედვით იხდის. არის შემთხვევები, როდესაც მრიცხველები დამონტაჟებულია ოჯახებში, მაგრამ ან სისტემა არ მუშაობს/არ კონტროლდება (ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ლოღეთი), ან მოსახლეობა არ იხდის პროტესტის ნიშნად (ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელი წაღვერი, თუმცა, თავად მუნიციპალიტეტის კორესპონდენტის მიხედვით, სოფლები გამრიცხველიანებული არ არის). გამრიცხველიანების მიზნით დაწყებული სამუშაოები ბოლომდე ვერ მივიდა და მრიცხველები მოიპარეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაზიანში.

მუნიციპალიტეტის სოფლები: მჭადიჯვარი, ებნისი, ციხისუბანი და მიქელიანი; გორის მუნიციპალიტეტის სოფლები: ახალუბანი და აძვი და ა.შ.²²⁷) სასმელად/საყოფაცხოვრებო საჭიროებებისთვის განკუთვნილი წყლის არამიზნობრივ მოხმარებასაც იწვევს (მაგ: აუზების მოსამარაგებლად).²²⁸ ეს ბუნებრივიც არის, ვინაიდან სოფლად მცხოვრებთა დიდი ნაწილისთვის მცირე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა საკვებზე წვდომასა და ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებას უკავშირდება. შესაბამისად, ისინი იძულებულნი არიან, ასეთ გზას მიმართონ. ეს არ გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც იკვეთება ამ წყლის არაკეთილსინდისიერი მოხმარება.

ინფორმირება/ჩართულობა:

ინფორმირებისა და ჩართულობის პრობლემა სოფლების უმრავლესობაში გამოვლინდა, თუმცა ყველაზე მწვავედ ის უკავშირდება წყლის ხარისხის საკითხებს. შეხვედრებისას თითქმის ყველა სოფელში გამოიკვეთა, რომ მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია მოხმარებული წყლის ხარისხზე. ხალხმა ასევე არ იცის, რა ინტენსივობით, ან ვინ ამოწმებს ამ საკითხს. წყლის ხარისხისადმი უნდობლობის მიუხედავად, მოსახლეობისთვის არ არის ხელმისაწვდომი ლაბორატორიული კვლევის შედეგები. მართალია, რიგ სოფლებში (ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლები, მუგარეთი და ჯულა; გორის მუნიციპალიტეტის სოფლები, აძვი და ახალუბანი და სხვა²²⁹) ფლობენ ინფორმაციას წყლის შემოწმებაზე/ხარისხზე (ზოგჯერ დაქლორვაზეც, სოციალური ქსელიდან), თუმცა ეს ინფორმაცია მათ მხოლოდ ზეპირსიტყვიერად აქვთ მიღებული მუნიციპალიტეტის ან კერძო პირისგან (მეზობლებისგან), ისიც წლების წინათ. შესაბამისად, მოსახლეობის ინფორმირებას არ აქვს ოფიციალური (მაგ: კვლევის შედეგების გაცნობა) და სისტემატური სახე. წყლის ხარისხზე მხოლოდ ზეპირი ინფორმირების ფაქტი დაადასტურა დუშეთის მუნიციპალიტეტმაც, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილ კორესპონდენციაში.²³⁰

227 მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: მისაქციელი, ნავაზი და აღდგომელაანთკარი; ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ლოღეთი; გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლები: კაჭრეთი, ჯიმიითი და ნანიანი; ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი პატარა არაქალი; ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელი სულდა და ოკამი; ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელი მუგარეთი; ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელი ყვიბისი.

228 მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: მისაქციელი, ნავაზი და აღდგომელაანთკარი.

229 გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლები: კაჭრეთი, დარჩიეთი და ჯიმიითი; თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდის დევნილთა დასახლება და სოფელი ჯორჯიაშვილი; ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი პატარა არაქალი; ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელი სულდა.

230 დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 16 ოქტომბრის N132-13224290103 წერილი.



**გორჯოვის მუნიციპალიტეტი,
სოფელი წაღვარი.**



**გორის მუნიციპალიტეტი,
სოფელი აქვი.**



**ასალციხის მუნიციპალიტეტი,
სოფელი გოგა.**



**ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი,
სოფელი არაქალი.**

მოსახლეობის ინფორმირების ნაკლებობის კონკრეტული მაგალითები გამოვლინდა რამდენიმე მუნიციპალიტეტში. კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის მერია, მოწოდებული კორესპონდენციის თანახმად,²³¹ აძვსა და ახალუბანში თვეში ერთხელ ამოწმებს წყლის ხარისხს შესაბამისი რეგლამენტით დადგენილი სტანდარტის მიხედვით (აპარატსაც მოეწოდა ლაბორატორიული კვლევის შედეგები, რომელთა მიხედვითაც ხარისხი დამაკმაყოფილებელია), თუმცა ეს ინფორმაცია მოსახლეობისთვის ცნობილი არ იყო. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიამ აპარატს აცნობა,²³² რომ 6 თვეში ერთხელ ამოწმებს წყლის ხარისხს და საჯაროდ აქვეყნებს უწყების შენობაში (შედეგები საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის არ წარმოუდგენიათ), თუმცა აღნიშნულზე მოსახლეობა ინფორმაციას ასევე არ ფლობდა. არც ლიცენზიატი მიმწოდებლის წყლის ხარისხი იყო ცნობილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების, ზემო ქედისა და ქვემო ქედის მოსახლეობისთვის, მიუხედავად იმისა, რომ თავად მუნიციპალიტეტის მერიის ცნობით, წყალმომარაგების სისტემების გამართულ მუშაობასა და უსაფრთხოებას ლიცენზიატი კომპანიის თანამშრომლები აკონტროლებენ.²³³

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აპარატის წარმომადგენლებთან შეხვედრების ფარგლებში, მოსახლეობამ წყლის ხარისხთან დაკავშირებით შემდეგი პრობლემები დაასახელა: **წვიმის შემდეგ ან მის გარეშე წყლის ფერის ცვლილება,**²³⁴ **რასაც ხშირად ქვიშა/ხავსი**²³⁶ **/სხვადასხვა ნარჩენები**²³⁷ **მოჰყვება; დაბინძურებული წყლის ქაბურღილი;**²³⁸ **დაუცველი წყლის ქაბურღილები/შემკვრები/ავზები/მილები;**²³⁹ **საუბნო წყაროს სიახ-**

231 გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 7 ოქტომბრის N20-2024281344 წერილი.

232 გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 29 ოქტომბრის N18-1824303129 წერილი.

233 დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 30 ოქტომბრის N56-562430419 და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დედოფლისწყაროს სერვისცენტრის 2024 წლის 28 ოქტომბრის N24417/30/06 წერილები.

234 მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: მისაქციელი, ნავაზი და აღდგომელანთკარი; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელი ზემო ქედი; დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: მჭადიჯვარი, მიქელიანი და ციხისუბანი; მარნეულის მუნიციპალიტეტის ჯანდარის დასახლება; თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდის დევნილთა დასახლება და სოფელი ჯორჯიაშვილი; ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელი სულდა; ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლები: მუგარეთი და ბოგა; ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი პატარა არაქალი; ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლები: ლარები და წაღვერი.

235 მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: მისაქციელი, ნავაზი და აღდგომელანთკარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი ქეშალო; დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: ებნისი და მჭადიჯვარი; ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელი წაღვერი.

236 გორის მუნიციპალიტეტის სოფლები: აძვი და ახალუბანი.

237 გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი ჯიმითი; ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელი ლარები.

238 ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ლოდეთი.

239 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი კაზლარი; მარნეულის მუნიციპალიტეტის ჯანდარის დასახლება; ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი პატარა არაქალი; ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელი ოკამი; ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელი წაღვერი.

ლოვეს სასაფლაოს არსებობა;²⁴⁰ წყალში ჭიების²⁴¹/ქვეწარმავლების²⁴²/მღრღნელების²⁴³ აღმოჩენა; უსიამოვნო გემო/სუნი²⁴⁴ და ა.შ. აღნიშნული გარემოებები უკავშირდება არა მხოლოდ ხარისხის, არამედ მისაღებობის კრიტერიუმსაც, ვინაიდან, როგორც სტანდარტები ცხადყოფს, წყალს უნდა ჰქონდეს ადგილობრივ კონტექსტში კულტურულად მისაღები ფერი, გემო და სუნი.



ბორჯომის მუნიციპალიტატი, სოფელი ლარაბი (მოსახლეობის მიერ შვებულებული წყალი).



ბორჯომის მუნიციპალიტატი, სოფელი ყვიბისი (მოსახლეობის მიერ შვებულებული წყალი).

240 გორის მუნიციპალიტეტის სოფლები: აძვი და ახალუბანი; დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ებნისი; ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელი ყვიბისი.

241 გორის მუნიციპალიტეტის სოფლები: აძვი და ახალუბანი; დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: ებნისი და მჭადიჯვარი; ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელი ზვარეთი.

242 ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ღოდეთი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი ქეშალო (როგორც მოსახლეობამ განმარტა, წყალი იყო სისხლიანი).

243 ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ღოდეთი.

244 გორის მუნიციპალიტეტის სოფლები: აძვი და ახალუბანი; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელი ქვემო ქედი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი ქეშალო; თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელი კოდის დევნილთა დასახლება და სოფელი ჯორჯიაშვილი; ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი პატარა არაქალი; ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელი სულდა; ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელი მუგარეთი; ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლები: ლარები და წაღვერი.

გარდა ხარისხზე ინფორმაციის ნაკლებობისა, გამოვლინდა, რომ არ არსებობს სისტემა, რომელიც მოსახლეობას ინფორმაციას მიაწვდის წყლის მოსალოდნელ შეწყვეტაზე. რაც შეეხება ადდგენით სამუშაოებსა და სერვისის მიწოდების განახლებას, ამ ინფორმაციას, ძირითადად, ზეპირსიტყვიერად იღებენ (ხშირად - მეზობლებისგან). მოსახლეობა არ არის ინფორმირებული წყალზე უფლების შესახებაც: მათთან არასდროს ჩატარებულა შეხვედრა ან სხვა სახის აქტივობა ამ საკითხზე. მოქალაქეებმა არ იციან თუნდაც არსებული გარანტიების, პროცედურებისა და მათი განხორციელების გზების შესახებ. მათთვის ასევე ბუნდოვანია უფლებამოსილი და პასუხისმგებელი უწყებების, მათ შორის, სახელმწიფოს/ მუნიციპალიტეტის ვალდებულებები.

რაც შეეხება გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობას, შეხვედრებისას მოწოდებული ინფორმაციით, მხოლოდ დუშეთის მუნიციპალიტეტში აღინიშნა შემთხვევა, როდესაც მოსახლეობა წყალთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტაში ჩაერთო და ამ ჩართულობას შედეგი მოჰყვა.²⁵⁰ როგორც წესი, მოქალაქეებს ინფორმაცია არც ამ პროცედურულ უფლებაზე ჰქონდათ: მათთვის არ იყო ცნობილი რაიმე გადაწყვეტილების მიღებასა და ამ პროცესში ჩართვის შესაძლებლობაზე.

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, სოფლად მცხოვრებ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა წყალთან დაკავშირებით მძიმეა, ქალაქის მაცხოვრებლებთან შედარებით. ადგილობრივი ხელისუფლება ხშირად განიცდის ინსტიტუციური და ფინანსური რესურსების ნაკლებობას მდგრადი სერვისის უზრუნველსაყოფად. გამოწვევები განგრძობადია ტექნიკური უნარების, მართვის შესაძლებლობებისა და ფინანსურის რესურსების ნაკლებობის გამო. ინსტიტუციური რეფორმა, ასევე, ფინანსური და ადამიანური რესურსების გაზრდა, აუცილებელია სოფლად წყალზე უფლების გაუმჯობესებული რეალიზაციისთვის. თემების შესაძლებლობათა გაძლიერება თემის განვითარების ასოციაციების დაარსებით, ასევე, უფლებებსა და მათ აღსრულებაზე ტრენინგებისა და ინფორმაციის მიწოდებით, გადამწყვეტია, მაგრამ საჭიროებს გარე მხარდაჭერას, როგორც ადგილობრივი ხელისუფლებისგან, ასევე მომსახურების მიმწოდებელთაგან.

250 დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი მიქელიანი.

9

წინადადებათ/რეკომენდაციები

წინადადებათ

► საქართველოს კარლამანძის:

- წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი და სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, შექმნას წყალზე უფლების, მისი შინაარსისა და ფარგლების, ყველა კრიტერიუმისა და უფლებრივი პრინციპის ამსახველი სრულფასოვანი საკანონმდებლო გარანტიები.

რეკომენდაციები

► საქართველოს მთავრობას:

- საზოგადოების, ექსპერტებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობით, შეაფასოს წყალზე უფლების რეალიზაციის პროგრესი, მათ შორის, „ხედვა 2030, საქართველოს განვითარების სტრატეგიით“ განსაზღვრული ამოცანის (2025/2030 წლებისთვის საქართველოს ქალაქების/მთელი ქვეყნის მოსახლეობის 100%-თვის სტანდარტთა შესაბამისი წყალმომარაგების უზრუნველყოფა) შესრულებასთან დაკავშირებით; ასევე, შეიმუშაოს არსებულ პრობლემათა გადაჭრის დროში გაწერილი გეგმა, სადაც განისაზღვრება კონკრეტული ღონისძიებები და პასუხისმგებელი უწყებები;
- გააძლიეროს თვითმმართველობათა რესურსული შესაძლებლობები, მიზანმიმართულად და შედეგზე ორიენტირებულად, წყალზე უფლების რეალიზაციის ეფექტიანად და თანდათანობით გაუმჯობესებისათვის, ასევე, თანასწორობის უზრუნველსაყოფად;
- გააძლიეროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო საჭირო რესურსებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით წყლის ხარისხზე მონიტორინგის ჩასატარებლად და მოქალაქეთა სათანადო ინფორმირებისთვის საჭირო საინფორმაციო სისტემის შესაქმნელად;
- შეისწავლოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის #58 დადგენილებით დამტკიცებული სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისობა ჯანმოს უახლეს (2022 წლის) სახელმძღვანელო მითითებებთან სასმელი წყლის ხარისხის შესახებ; პროგრესული რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, განაახლოს შესაბამისი მაჩვენებლები და მომავალშიც განაგრძოს ეროვნულ სტანდარტთა პროგრესული განახლება აღნიშნული სახელმძღვანელოს ცვლილებათა კვალდაკვალ.

▶ **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს:**

- ▶ შექმნან ერთიანი პლატფორმა/ბაზა, სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის შედეგებზე საზოგადოების მარტივად, გასაგებად, ხელმისაწვდომად და სათანადოდ ინფორმირებისათვის;
- ▶ ონლაინ პლატფორმის გარდა, შექმნან მოქალაქეთა ინფორმირების სხვა მექანიზმებიც, რათა მოსახლეობას სხვადასხვა ეფექტიანი საშუალებით მიეწოდოს ინფორმაცია სასმელი წყლის ხარისხის კონტროლსა და მის შედეგებზე;
- ▶ გააფართოონ წყლის ხარისხის კონტროლის მასშტაბები სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციით/რესურსების მოძიებით და მაქსიმალურად მოკლე ვადებში უზრუნველყოს წყლის ხარისხის სახელმწიფო კონტროლი მთელ ქვეყანაში.

▶ **ადგილობრივ თვითმმართველობებს:**

- ▶ არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენებითა და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით, უმოკლეს ვადებში დაგეგმონ და გადადგან ქმედითი ნაბიჯები, ყველა მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების ლიცენზირებული მიმწოდებლის მიერ უზრუნველსაყოფად;
- ▶ მაქსიმალური ძალისხმევა გაწიონ მოქალაქეების, მათ შორის, ქალების, ხანდაზმულების, შშმ პირებისა და სხვა ჯგუფების საჭიროებათა გამოსაკვლევად და დასაკმაყოფილებლად წყალზე წვდომის კუთხით; ალტერნატიული გზებით უზრუნველყონ იმ მოქალაქეთა წყალმომარაგება, რომელთაც არ აქვთ წვდომა პირადი და საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის საჭირო მინიმალური ოდენობის წყალზე.

